ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

გიორგი ხონელიძე

პოლიტიკა და კრიმინალი საქართველოს 1990-2000 იან წლებში

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:ირაკლი ჩხაიძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

საქართველოს 1990-2000იან წლებში არსებული პოლიტიკური და კრიმინალური ვითარების შესაფასებლად, დასაწყისისთვის საჭიროა, რომ მიმოვიხილოთ 1989 წლის 9 აპრილი, ვინაიდან სწორედ ამ დღემ განაპირობა შემდგომი ათწლეულის მოვლენები. ნაშრომში განხილული იქნება 1989 წლის 9 აპრილი, 1991 წლის 9 აპრილი, ზვიად გამსახურიდასა და ედუარდ შევარდნაძის საპრეზიდენტო პერიოდთან დაკავშირებული მოვლენები, განსაკუთრებული ყურადღება ექნება დათმობილი ,,მხედრიონსა'' და მის ლიდერებს, ვინაიდან სწორედ ამ დაჯგუფებას უკავშირდება საქართველოს ისტორიაში არსებული მძიმე კრიმინალური ვითარება, გარდა ამისა შეფასებული იქნება თბილისის სამოქალაქო ომი და აფხაზეთის ომი.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა, ინტერვიუ , სტატია, სატელევიზიო გადაცემის ჩანაწერი. თუმცა ნაშრომის შექმნის პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა სხვადასხვა რესპოდენტისგან მიღებული ინტერვიუ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ 1990-2000იანი წლების მომსწრენი და საკუთარ თავზე გამოცდილი ისტორიები გვიამბეს.

სარჩევი

ანოტაცია 2
შესავალი..... 4
ლიტერატურის მიმოხილვა 8
I თავი: 1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის 9 აპრილამდე 12
1.1 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია 12
1.2 ყველაფერი, რაც ზვიად გამსახურდიას უკავშირდება..... 14
1.3 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილი 15
II თავი: პოლიტიკური ვითარება 90-იანი წლების დასაწყისში..... 17
2.1 პირველი საპრეზიდენტო არჩევნები და მისი შედეგები 17
2.2 დაპირისპირება ტრიუმვირატსა და ზვიად გამსახურდიას შორის..... 18
III თავი: თბილისის სამოქალაქო ომის ქრონიკები 20
3.1 თბილისის სამოქალაქო ომი..... 20
3.2 ვითარება ომის შემდეგ 22
3.3 ედუარდ შევარდნაძე..... 24
IVთავი: მხედრიონი..... 26
4.1 როგორ შეიქმნა მხედრიონი 26
4.2 ჯაბა იოსელიანი..... 27
4.3 ,,მხედრიონის'' გავლენა თბილისის ომზე 28
V თავი: დაპირისპირებები დასავლეთ საქართველოში 30
5.1 აფხაზეთის ომი..... 30
5.2 მხედრიონის როლი აფხაზეთის ომში..... 32
5.3 მხედრიონი სამეგრელოში..... 34
VI თავი: კრიმინალი საქართველოს 1990-იან წლებში..... 36
6.1 კრიმინალი პოლიტიკაში..... 36
6.2 ედუარდ შევარდნაძის ტერაქტი..... 38
6.3 კრიმინალის დონე საქართველოში 1990იან წლებში..... 39
დასკვნა 41
გამოყენებული ლიტერატურა 43
დანართები..... 45

შესავალი

საქართველოს ისტორიას ახსოვს მძიმე და რთული პერიოდები, თუმცა ის რაც 1990-2000იან წლებში ხდებოდა, განსაკუთრებით მძიმე პერიოდად შეგვიძლია შევაფასოთ. 1980იანი წლების დასასრულმა და 1990იანი წლების დასაწყისმა გარდამტეხი როლი ითამაშა საქართველოს მომავლის განვითარებაში. ამ მძიმე ვითარების გამომწვევი მიზეზები კი საბჭოთა კავშირის არსებობასა და შემდგომში დაშლას უკავშირდება. 1991 წლის 25 დეკემბერს დაიშალა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკური კავშირი, რამაც უდიდესი გავლენა იქონია არამარტო საბჭოთა ქვეყნების მომავალზე, არამედ მთელ მსოფლიოზე.

1980-იანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირის არსებობა დასასრულს უახლოვდებოდა, იმ დროს არსებული ვითარება დაუყოვნებლივ მოითხოვდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემების ძირეული ცვლილებას, თუმცა ამ პროცესებს თან ახლდა მოულოდნელი და ტრაგიკული მოვლენები როგორიცაა : 1989 წლის 9 აპრილი, 1991-1992 წლების თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთის ომი და ფაქტიურად ეკონომიკის სრული განადგურება. ყოველივე ზემოთქმულმა უდიდესი გავლენა იქონია ქართველი ხალხის მსოფლმხედველობისა და იდენტობის ჩამოყალიბებაში.

,,ეს ხომ 90-იანი წლებია – ვანდამი, ჩაკ-ნორისი, ცეცხლმოკიდებულ საბურავებზე შემომწკრივებული ბირჟავიკები, მოკოლორიტო ძველი ბიჭები, სვისტოკიანი მილიციელები და ჰალსტუხიანი ქურდები, ხელიდან წასული ყაჩაღები... [1]“ პაატა შამუგიას ეს სიტყვები ცალსახად ასახავს 90-იანი წლების საქართველოს რეალობას.

1989 წლის 9 აპრილმა უდიდესი გარდამტეხი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. ამ დროს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა საქართველოში პირველად გაისმა. თავისუფლებისკენ სწრაფვამ ქართველ ხალხს უბიძგა, ანტი-საბჭოური გამოსვლებისკენ, ხოლო 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ძალებმა მშვიდობიანი აქცია დაარბიეს, რასაც 21 ქართველი გმირის სიცოცხლე შეეწირა.

[1] https://demo.ge/index.php?do=full&id=1189 (ნანახია 16.04.2023)

საქართველოს ისტორია ორი 9 აპრილის ისტორიას ინახავს, პირველი - 1989 წლის ტრაგიკული 9 აპრილი, რომელსაც თავისუფლებისკენ მისწრაფებული ქართველი გმირების სიცოცხლე შეეწირა, მეორე კი 1991 წლის 9 აპრილი , დღე როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა. დამოუკიდებლობის აღდგენით ქართველმა ხალხმა ცალსახად თქვა უარი საბჭოთა კავშირსა და მის გავლენაზე. 9 აპრილი უდიდესი ისტორიული მოვლენაა, ამას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაბრუნება, რომელიც ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად დაკარგა.[2]

1990-იანი წლების დასაწყისის საქართველოს რეალობას ტრიუმფი შეიძლება ეწოდოს, ვინაიდან საქართველო კვლავ დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. თუმცა ეს სიხარული და აღმაფრენა მალევე შეცვალა მუდმივმა სტრესმა და დაძაბულობამ და ტრიუმფი ტრამვაში გადაიზარდა. საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ- ერთი ქვეყანა იყო და სწორედ ამიტომ შეუძლებელი იქნებოდა, რომ იმპერიის ნგრევას ქვეყნის მომვალაზე რაიმე გავლენა არ ჰქონოდა. საქართველო აღმოჩნდა ძველისა და ახლის გასაყარზე. არსებობდა მთელი რიგი ზნე-ჩვეულებები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა, მისი ნგრევის შემდეგ კი სხვა კულტურამ დაიწყო აღმოცენება. საზოგადოების უმეტესობა შეჩვეული იყო ძველ კულტურასა და წეს- ჩვეულებებს, უცხო არ არის ის ფაქტი, რომ ჩვეულება ადამიანს იმდენად უჯდება ცხოვრების წესსა და რუტინაში, რომ მისი გავლენიდან გამოსვლა ძალიან რთულია.

1991 წლის შემოდგომიდან, საქართველოში სოციალური ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა. ცხოვრება საზოგადოებრივი არეულობის ფონზე მიმდინარეობდა, 1991 წლის 22 დეკემბერს კი დაიწყო 15 დღიანი სამოქალაქო ომი, რომელსაც ,,თბილისის ომი“ ეწოდა. მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა საზოგადოების ნაწილი ორად გაიყო - ზვიად გამსახურდიას მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზი პოლიტიკური დაპირისპირება გახდა, რომელიც 6 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. თავისმხრივ, ვითარება გაამწვავა ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებამ, რაც ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობის

[2] https://www.radiotavisupleba.ge/a/30338333.html (ნანახია 16.04.2023)

გაუქმებას გულისხმობდა, რომელიც თენგიზ კიტოვანს ეკავა. იგი არ დაემორჩილა მიღებულ გადაწყვეტულებას და თავისი 15 ათასიანი გვარდიით პროტესტის ნიშნად თბილისის ზღვაზე დაბანაკდა. ამასთან, პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამაც დატოვა პოსტი. ზვიად გამსახურდიას მომხრეებს სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ. შემდგომში ოპოზიციის მხარეს აღმოჩნდა ჯაბა იოსელიანი.

ჯაბა იოსელიანი ,,მხედრიონის'' დაჯგუფებას მეთაურობდა. ,,მხედრიონი'' 1989 წელს შეიქმნა და დეკლარილებულ დემოკრატიულ მიზნებს ემსახურებოდა, თუმცა იგი 1990 წელს გაუქმდა. შემდგომში კი 1991 წელს აღადგინა ჯაბა იოსელიანმა. საზოგადოების აზრი ამ დაჯგუფებასთან დაკავშირებით ორად იყოფოდა. საზოგადოების ნაწილი თვლიდა, რომ მხედრიონელები ყაჩაღების ბანდას წარმოადგენდა , რომელიც ჭეშმარიტ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა, ხოლო მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ისინი ღირსეული მებრძოლები იყვნენ.

ქვეყანაში მიმდინარე დაძაბული ვითარების განეიტრალება ვერ მოახერხა ზვიად გამსახურდიამ. თბილისში დაწყებული ომი რეგიონებსაც მოედო. დაპირისპირებებს თან დაერთო დაძაბულობა აფხაზეთში, რომელმაც ქვეყანა ეთნიკურ ომში გახვია. როგორც უკვე აღვნიშნე ეროვნული გვარდიის დათხოვნამ ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, საბოლოოდ კი გამსახურდია პოსტიდან ჩამოაგდეს.

ეროვნული ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის შემდეგ, ქვეყნის სათავეში სამხედრო საბჭო მოვიდა, თუმცა მათ არ გააჩნდათ საკმარისი გამოცდილება და მორალური მზაობა. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა კომპეტენტური პირის დახმარება, რომელიც გაატარებდა ჯაბა იოსელიანის, თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანის პოლიტიკურ ინტერესებს. ეს ადამიანი კი აღმოჩნდა სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე.

მიუხედავად იმისა რომ 1990-იანი წლების საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარება მძინვარებდა, რასაც თან დაერთო უდიდესი ეკონომიკური კრიზისი. ედუარდ შევარდნაძემ შეძლო და საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო. იგი ,,მეზობელ'' სახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას მთელ თავისი ძალებით

ცდილობდა.[3] შევარდნაძის ამ მიმართულებამ შედეგი გამოიღო, კერძოდ 1991 წელს მიღებული დამოუკიდებლობა , რუსეთმა1992 წელს აღიარა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საქართველომ ურთულესი პროცესები გამოიარა 1980 წლის მიწურულიდან. საინტერესოა, ქვეყნის ისტორიაში კრიმინალის, როგორც მმართველი ძალის შეფასება, შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. მაშასადამე, აღნიშნულ ნაშრომში განხილული და შეფასებული იქნება 1990-2000 იან წლებში სქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და კრიმინალური პროცესების მიზნები და შედეგები.

ნაშრომის მიზანია 1990-2000-იან წლებში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური, კრიმინალური თუ კულტურული პროცესების შეფასება . ნაშრომში განხილული იქნება საქართველოში მიმდინარე მოვლენები ქრონოლოგიურად 1989 წლის 9 აპრილიდან 2000წლამდე. **კვლევის ამოცანაა,** სხვადასხვა ლიტერატურის, სტატიის, კვლევის და კომპეტენტური პირებისგან მიღებული ინტერვიუების საფუძველზე, შევაფასოთ 1990-2000 წლებიში მიმდინარე პოლიტიკური და კრიმინალური მოვლენები საქართველოში. ნაშრომის კვლევის **საგანს** წარმოადგენს 1990-დან 2000-იან წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესწავლა (დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესები, სამოქალაქო ომი, მხედრიონის ჩამოყალიბება, ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდები), ისტორიული წყაროების და გამოკითხული რესპონდენტების საფუძველზე. ნაშრომის მთავარი **საკვლევი კითხვაა** იყო თუ არა 1990-2000 იან წლებში ქართული პოლიტიკა კრიმინალიზებული და რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი?

მაშასადამე, კვლევის **ჰიპოთეზა** შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

1990-2000 იან წლებში ქართულ პოლიტიკაში იყო ქაოსი და ამ პოლიტიკური ტრანსფორმაციის რთულ პროცესში კრიმინალი გაბატონდა.

[3]http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/uaxlesii/document/HASH01479048438fd58757be81c3;jsessionid=B06332144B99AE62D482B17B608F40E3?ed=1 (ნანახია 02.05.2023)

მოცემულ კვლევაში, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე დავეყრდენით სხვადასხვა თეორიულ მიდგომას და **თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას.** კვლევის პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული პირისპირ გამოკითხვის მეთოდი და ასევე სხვადასხვა ლიტერატურის და სტატიის სიღრმისეული ანალიზი. ასევე, კვლევის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ იმ პირებთან, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი იყვნენ და ინფორმაციას ფლობენ 1990-2000-იან წლებში მიმდინარე მოვლენებში. ვინაიდან კვლევა ეხება გასულ საუკუნეში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებას, სრული სურათის შესაქმნელად, გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევა. შერჩევის პოპულაციას წარმოადგენენ პოლიტიკოსები და ექსპერტები.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ აღნიშნულ ნაშრომში განხილული იქნება 1990-იანი წლების საქართველოს რეალობა. ამ პერიოდში მომხდარი მოვლენების უკეთ შესაფასებლად გამოყენებულია სხვადასხვა წიგნი, სტატია და ინტერვიუ, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ნაშრომის შექმნაში. ქვემოთ მოყვანილი წყაროების საფუძველზე, გაანალიზებული იქნება თუ როგორი ვითარება იყო საქართველოს ბნელ 90-იან წლებში, პოლიტიკური თუ კრიმინალური თვალსაზრისით.

ნაშრომის შექმნაში განსაკუთრებული როლი შეასრულა წიგნმა - ,, საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ)''. აღნიშნულ წიგნში დეტალურად არის გადმოცემული 1989 წლის 9 აპრილი, თბილისის სამოქალაქო ომი და უშუალოდ ბნელი 90-იანი წლები. აღნიშნული წიგნი სხვა გამოყენებული ლიტერატურისგან იმით გამოიერჩევა, რომ აქ გამოყენებულია უშუალოდ 9 აპრილის მომსწრე და მასში მონაწილე ადამიანების ინტერვიუები, ისინი საკუთარ განცდებს გადმოსცემენ, რამეთუ საუკეთესო მატიანე სწორედ ის ადამიანია, ვინც საკუთარ თავზე განიცადა წარსულის სიმწარე. ყოველივე ზემოთქმული დეტალურად იქნება განხილული ნაშრომის ძირითად ნაწილში. წიგნში ,,მხედრიონის''

დაჯგუფების შესახებაცაა ინფორმაცია, რამაც დიდი როლი ითამაშა, სამხედრო დაჯგუფების როლის გაანალიზებაში.

ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სტივენ ჯონსის წიგნი ,,პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ" (I.B Tauris & C.o Ltd 2013) . ავტორი საუბრობს ქართული რევოლუციის შესახებ, რამაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის მომავალზე. აღნიშნული წიგნი მდიდარი აღმოჩნდა ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებული ფაქტებით. სტივენ ჯონს განხილული აქვს მისი და ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდები. აქვე აღსანიშნავია ის, რომ ,,მხედრიონისა" და მისი მთავარი „გმირების" შესახებაცაა ინფორმაცია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წიგნი კვლევისთვის საინტერესო ფაქტებით იყო მდიდარი, რის შესახებაც ნაშრომის ძირითად ნაწილში ვისაუბრებთ.

საყურადღებოა დიმიტრი შველიძის წიგნი - ,,პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992) " (უნივერსალი 2008). ავტორი მიმოიხილავს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას 1987წლიდან 1992წლამდე. თუმცა ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა წიგნის მესამე თავში აღწერილი ,,მხედრიონი ხელისუფლების წინააღმდეგ (გვ152-165)". ავტორი ობიექტურად აფასებს, საქართველოს 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისს, განიხილავს დაპირისპირებებს ოპოზიციასა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის. ამ წიგნში ასევე განხილული ომისწინარე პერიოდი და შემდგომში უკვე 1991 წლის 21დეკმებრიდან განვითარებული მოვლენები. აღსანიშნავია, ის, რომ ქრონოლოგიურად დალაგებულმა მოვლენებმა განაპირობა ნაშრომში საკითხთა თანმიმდევრობა.

რევაზ გაჩეჩილაძის წიგნი ,,ჩემი მეოცე საუკუნე" (სულაკაური 2011) სათაურიდანაც ცხადყოფს თუ რაზე იქნება საუბარი. ეს წიგნი გასულ საუკუნეს შეეხება. ავტორი აფასებს თუ როგორი ვითარება იყო 90-იან წლებში, საუბრობს ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მმართველობებზე. ხაზს უსვამს საქართველოში არსებულ კრიმინალურ ვითარებას, რომელიც თავისმხრივ ქვეყანაში მიმდინარე არეულობამ განაპირობა. ნაშრომი საინტერესოა იმით, რომ რევაზ გაჩეჩილაძე საკუთარ ჩანაწერს ,,1991 წლის მიწურულის სოციოლოგიურ დღიურს"(გვ280-325) იყენებს. მან ეს ჩანაწერი თბილისის

სამოქალაქო ომის პარალელურად გააკეთა და საკუთარი განცდები და შეხედულებები ცხადყო, რაც ნაშრომისთვის საინტერესო აღმოჩნდა. გაჩეჩილაძე ხაზს უსვამს საქართველოში მომატებულ კრიმინალის დონეს და პოლიციის დაუძლურებას.

გარდა ზემოთაღნიშნული წიგნებისა, კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა სტატია და ჩანაწერი, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს ნაშრომის შექმნაში. კვლევის საგანია 1990-2000იანი წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და კრიმინალური მოვლენების შეფასება. იმ პერიოდში მთავარ კრიმინალურ ძალად შეგვიძლია სამხედრო დაჯგუფება ,,მხედრიონი'' მივიჩნიოთ. ამ დაჯგუფების ერთ-ერთი მეთაური დოდო გუგეშაშვილია. კვლევისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი ინტერვიუ გაზეთ ,,თბილისელებთან[4]" (09.01.2009) სადაც გუგეშაშვილი მისი თვალით დანახულ ,,მედრიონსა'' და საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობს. ინტერვიუში ასევე საუბარია იმ ,,მხედრიონელებზე'' , რომლებიც დაიღუპნენ და იხსენებს პირველ საბრძოლო მოქმედებას. ეს ყველაფერი ვრცლად იქნება განხილული ნაშრომის ძირითად ნაწილში, კერძოდ ,,მხედრიონთან'' დაკავშირებულ თავში.

ეკა წამალაშვილი 2003 წელს დაწერილ სტატიაში[5], შევარდნაძის მიმართ განხორციელებულ პირველ ტერორისტულ აქტზე საობრობს, თუმცა დეტალები კვლავ ბუნდოვანი რჩება. ეს ყოველივე ხაზს კიდევ ერთხელ უსვამს საქართელოში არსებულ კრიმინალს. ედუარდ შევარდნაძის აფეთქება რამდენჯერმე სცადეს და შესაბამისად ეს საკითხი იმ პერიოდის საქართველოში საკმაოდ აქტუალური იყო. ამდენად, ზემოთქმული ფაქტები ცალსახას ხდის იმ გარემოებას, რომ საქართველოში 1990-იან წლებში კრიმინალი ყვაოდა, რიგითი მოქალაქეები თუ მთავრობის წარმომადგენლები, განურჩევლად ხდებოდნენ კრიმინალის მსხვერპლნი. აღნიშნული სტატიები ფართოდ იქნება განხილული ნაშრომის ძირითად ნაწილში.

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გიორგი გასვიანის საავტორო გადაცემამ ,,სიცრუის დეტექტორმა[6]''(Tvიმედი, 10.11.2018) გადაცემის სტუმარი იყო დოდო გუგეშაშვილი იგივე ,,რკინის მაგნოლია''. გუგეშაშვილი იხსენებს ,,მხედრიონში" მოხვედრის

[4] https://for.ge/index.php/view/207934/rogor-Seiqmna-mxedrioni.html (ნანახია 14.05.2023)
[5] https://www.radiotavisupleba.ge/a/1530515.html (ნანახია 14.05.2023)
[6] https://www.youtube.com/watch?v=KOjB2Lmd4Ag (ნანახია 25.05.2023)

ისტორიას, საუბრობს ჯაბა იოსელიანსა და ედუარდ შევარდნაძეზე. ასევე იხსენებს თუ როგორ გახდა პოლკოვნიკი.ასევე ერთი შეკითხვა ეხებოდა დარჩელში მოსახლეობისთვის სახლების გადაწვას. გადაცემის ეს ჩანაწერი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ გუგეშაშვილი ,,სიცრუის დეტექტორში'' საკუთარ სიმართლეზე საუბრობდა.

გარდა ამისა, კვლევისთვის ძალიან საინტერესო და გამოსადეგი აღმოჩნდა იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემა ,,საქართველოს დაბადება". მის მიერ მოწვეული რესპოდენტების ინტერვიუების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა, რომ უკეთ შეგვეფასებინა იმ დროინდელი საქართველოს რეალობა უშუალოდ ამ ისტორიის მონაწილე პირებთან ერთად. გიგა არველაძისა და თენგიზ კიტოვანის ინტერვიუმ უდიდესი წვლილი შეიტანა ნაშრომის სრულყოფილებისთვის.

I თავი: 1989 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის 9 აპრილამდე

1.1 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია

სანამ უშუალოდ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შეფასებაზე გადავალთ, საჭიროა, რომ ზოგადი წარმოდგენისთვის მიმოვიხილოთ წინამდებარე პერიოდი, ვინაიდან სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობეს შემდგომი პროცესები.

1989 წლის 18 მარტს აფხაზეთის სოფელ ლიხნში გაიმართა 30 კაციანი ყრილობა, რომელიც ,,ლიხნის მიმართვის'' სახელითაა ცნობილი, სადაც მიიღეს მიმართვა, რომლის თანახმადაც ყრილობის მონაწილეები მოითხოვდნენ, რომ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა შესულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამის მიზეზად კი ასახელბდნენ იმას, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, აფხაზებს, ავიწროვებდნენ ქართველები და მათი ასიმილაცია იყო მოსალოდნელი. [7] ,, პოლიტიკური მოთხოვნების რადიკალიზაციამ ეროვნული მოძრაობისა და საქართველოს ხელისუფლების სრული დაპირისპირება გამოიწვია".[8] სავარაუდო იყო, რომ ქვეყანაში ამას მოჰყვებოდა მწვავე რეაქციები, ვინაიდან ქართველი მოსახლეობა არ შეეგუებოდა ქვეყნის რომელიმე კუთხის გამოყოფას. ამის შემდეგ დაიწყო მთელ საქართველოში მიტინგები, მშვიდობიანმა მოსახლეობამ დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა წამოაყენა. ნელნელა მდგომარეობა კონტროლს აღარ ექვემდებაარებოდა და საბოლოოდ, ,,მოსკოვთან შეთანხმებით, გადაწყდა მიტინგის დარბევა... ძალის დემონსტრირებამ (8 აპრილს თბილისის ქუჩებში სამხედრო ტექნიკა გაატარეს) შედეგი არ გამოიღო. 9 აპრილს ღამით მთავრობის სასახლესთან წინა ღამეებზე მეტი ხალხი შეიკრიბა. დილის 4 საათზე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ნაწილებმა დაარბიეს მიტინგი ხელკეტების და მომწამლავი ნივთიერების გამოყენებით[9]. მიგვაჩნია, რომ რუსეთი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი ძალის დემონსტრირებასა და სწორედ

[7] http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=14622&lang=geo (ნანახია 28.05.2023)

[8] აბდალაძე, გვანცა და სხვ. უახლესი ისტორია მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის (თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008, გვ.283

[9] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 53.

ამ ხერხით აშინებდა ხალხს, თუმცა 1989 წლის 9 აპრილს, ქართველი ხალხი რუსეთის ამ ნაბიჯმა ვერ შეაშინა.

საინტერესოა მერაბ კოსტავას სიტყვით გამოსვლა აქციის დარბევამდე - ,,საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად, ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე[10]“ ცხადია, რომ ქართველი ხალხი თავისუფლებადაკარგული ვეღარ ეგუებოდა ყოფით ცხოვრებას და პროტესტი უჩნდებოდათ, რაც 9 აპრილს ნათლად გამოჩნდა. თავისმხრივ 9 აპრილის ტრაგედია ტრიუმფიც კი იყო, რადგან მომიტინგეებს ჰქონდათ განცდა იმისა, რომ რაღაც დიდის ნაწილი ხდებოდნენ.

განვითარებულმა მოვლენებმა თანდათან შედეგი გამოიღო, რადგან კომუნისტური ხელისუფლება დათმობებზე მიდიოდა. საპროტესტო აქციებზე გამოსული მოსახლეობის მიზანიც და მოტივიც საბჭოთა კავშირის კლანჭებიდან დახსნა იყო, რაც სულ უფრო რეალური ხდებოდა. მიმაჩნია, რომ 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში პოლიტიკურად გარდამტეხი აღმოჩნდა, ვინაიდან ამ დროს ქართველ ერს თავისუფლება გარკვეულწილად დაბრუნებული ჰქონდა, თუმცა ამას კრიმინალის დონის ზრდა მოჰყვა. ამ პერიოდიდან სახელმწიფო ინსტიტუტებმა ნელნელა შლა დაიწყო, რასაც უარყოფითი შედეგები მოჰვა, მასობრივი განუკითხაობა, დაძაბულობა, შიმშილი, დაუსჯელობა და რაც მთავარია კრიმინალურმა ძალამ ზეგავლენა იქონია პოლიტიკურ სტაბილიზაციაზე.

9 აპრილის ტრაგედიას აფასებს ივანე წერეთელი ,, 9 აპრილი ეს იყო ტრაგედია, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხვონის საყოველთაო ზოგადქართულ მოთხოვნად გადაქცევას.... მიუხედავად 9 აპირამდე ჩატარებული მიტინგებისა ძალიან ცოტა ადამიანი ფიქრობდა დამოუკიდებლობაზე. ფაქტიურად 9 აპრილმა ითამაშა წყალგამყოფი როლი ძველ და ახალ ეპოქებს შორის..[11]“

[10] https://www.youtube.com/watch?v=t3XIyV-9Tew (ნანახია 28.05.2023)

[11] სიღრმისეული ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ივანე წერეთელთან

1.2 ყველაფერი, რაც ზვიად გამსახურდიას უკავშირდება

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, საქართველოში დადებითი ცვლილებები დაიწყო პოლიტიკური თვალსაზრისით. საქართველოში 1990 წლის ოქტომბერში უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები გაიმართა, რომელშიც გაიმარჯვა ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს'' საარჩევნო ბლოკმა, რომლის ლიდერიც იყო ზვიად გამსახურდია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, თუ რა იყო ამ პარტიის მთავარი მიზანი. ,,მრგვალი მაგიდის" უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც საქართველოს მთელი 70 წელი ჰქონდა დაკარგული და შემდგომში პარტია მიზნად ისახავდა აღდგენილი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ამასთანავე 1989 წლის 9 აპრილს შემზადებული ჰქონდა ნიადაგი იმისა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა რეალური ყოფილიყო. თუმცა ქვეყანა მძიმე კრიმინალურ პროცესებს ებრძოდა, 1990 წლის მიწურულს პროკურორმა შეაფასა კრიმინალის დონე საქართველოში ,,...48 მკვლელობა, 76 სხეულის განზრახ დაზიანება, 23 თავდასხმა მილიციის მუშაკებზე, 47 ყაჩაღობა, 46 ძარცვა, 461 ქურდობა, მოქალაქეთა გატაცების 5 შემთხვევა.. ეს ყველაფერი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გახლდათ მომხდარი...[12]" მართალია ,,მრგვალი მაგიდის'' პოლიტიკური მოღვაწეობა ახალი დაწყებული იყო, თუმცა ეს შედეგები მათი არჩევიდან 1 თვის ვადაშიც მოექცა. აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო ქვეყანა, რისი მიზეზიც გარკვეულწილად ხელისუფლებისადმი ბოროტად განწყობილი სამხედრო დაჯგუფებები იყვნენ. ახლადარჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას სასწრაფოდ უნდა ეზრუნა ოფიციალურად დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ კონგრესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა დაძაბულობის პიკს აღწევდა, ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 1991 წლის მარტში, კი გაიმართა რეფერენდუმი.

[12] დიმიტრი შველიძე - პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (უნივერსალი 2008) გვ .154

1.3 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილი

პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ 1989 წლის 9 აპრილის გარეშე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმი არ იარსებებდა. აღსანიშნავია ქართველი ხალხის სიმტკიცე და ერთიანობა, ვინაიდან მოსახლეობის 90%-მა მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში და დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 97 პროცენტზე მეტმა. ყოველივე ამან თვალსაჩინო გახადა ქართველი ხალხის ურყევი ნება სახელმწიფოებრივობის აღდგენასთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციის პირველ მუხლში ვკითხულობთ - ,, „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით.[13]“

31 მარტის რეფერენდუმს მოჰყვა 1991 წლის 9 აპრილი, დღე როდესაც დილის 12:30 წუთზე, საქართველოს უზენაესმა საბჭომ, საქართველოს სახელწმიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ამ აქტში წერია რომ ,, 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე[14]“. საინტერესოა, თუ როგორ იხსენებენ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მოწერას, ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკურად გარდამტეხი მოვლენის უშუალო მონაწილენი. აკაკი ასათიანი ამბობს - ,, ხელი რომ მოვაწერე, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ვალი მოვიხადე ჩემი ბაბუების და სხვა წინაპრების წინაშე... 9 აპრილის გმირების წინაშე...[15]“ და მივადექით მნიშვნელოვან მომენტს. მიგვაჩნია, რომ 1989 წლის 9 აპრილმა განაპირობა 1991 წლის 9 აპრილი. ნაშრომის შესავალ ნაწილში უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ პერიოდს 9

[13] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (ნანახია 29.05.2023)
[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0 (ნანახია 03.06.2023)
[15] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 66.

აპრილიდან 9 აპრილამდე პერიოდი შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ 1989 წელს 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე ქართველი ერი შეკრებილი იყო თავისუფლების დასაბრუნებლად, იმ ხალხის დაუოკებელმა ლტოლვამ შედეგი 2 წლის შემდეგ გამოიღო. ზვიად გამსახურდიამ შემდეგი სიტყვებით გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა - ,, ... სიმბოლურია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი , აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გვფარავდეს ღმერთი![16]“ ცხადია, თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო ეს დღე ნებისმიერი ქართველისთვის, ვისთვისაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა პრიორიტეტული იყო. სსრკ-ს გავლენიდან დახსნა და დამოუკიდებლობის დაბრუნება იმედი იყო მომავალი თაობებისთვის. რუსე

ჟურნალისტი ჯ. რეხვიაშვილი სტატიაში ,,9აპრილიდან 9 აპრილამდე'' აღნიშნავს, რომ ,, ასე შეიძინა ორმაგი შინაარსი 9 აპრილმა, რომელშიც გაერთიანდა როგორც 1989 წლის 9 აპრილის სისხლში ჩახშობილი თავდადება, ასევე 1991 წლის 9 აპრილის ტრიუმფალური გამარჯვება.[17]“ მაშ ასე, 1989 წლის 9 აპრილის უდიდესმა ტრამვამ და ტკივილმა, შვა 1991 წლის 9 აპრილის ტრიუმფი, რომელიც ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ ქართველი ერის გამარჯვებად. ზვიად გამსახურდიას სიტყვებიც მოწმობს ამას, ვინაიდან 9 აპრილის თავდადებულმა გმირებმა უბიძგეს ქართველ ერს, გამოფხიზლებისკენ. მიმაჩნია, რომ ეს ორი მოვლენა საქართველოს პოლიტიკური ხაზისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. ,,ტრამვა ტრიუმფში'' ავტორი წერს, რომ ,, და მაინც, 9 აპრილს, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, კოლექტიურ/კულტურულ მეხსიერებაში დღემდე ერთგვარად ჩრდილავს 1989 წლის 9 აპრილის ღამე, რასაც ხელს უწყობს ამ უკანასკნელის ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანი ინსტიტუციონალიზაცია... ” [18]

---

[16] https://www.youtube.com/watch?v=PsHAV7B3Uzg (ნანახია 03.06.2023)

[17] https://www.radiotavisupleba.ge/a/31178645.html (ნანახია 03.06.2023)

[18] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 67.

II თავი: პოლიტიკური ვითარება 90-იანი წლების დასაწყისში

2.1 პირველი საპრეზიდენტო არჩევნები და მისი შედეგები

1991 წლის 26 მაისს, საქართველოში ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ქართველმა ერმა საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. წინასაარჩევნო პერიოდი საკმაოდ დაძაბული იყო პოლიტიკური თვალსაზრისით, რაც ბუნებრივია და ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, თუმცა არჩევნების დასრულების შემდეგ დაპირისპირების ციებ-ცხელებამ არათუ იკლო, არამედ იმატა კიდეც. განხეთქილება იყო სახელისუფლებო ბლოკშიც. ასეთ ვითარებაში, ცალსახაა რომ რთული იქნებოდა ქვეყანაში სტაბილიზაციის შენარჩუნება. დაძაბულობა, რომელიც დღითიდღე ღვივდება, დამშვიდების ნაცვლად, დიდ ზეგავლენას ახდენს უშუალოდ მოსახლეობაზეც. მას შემდეგ, რაც გამსახურდია პრეზიდენტი გახდა სამოქალაქო ცხოვრებისთვის შეუჩვეველი პროცესები განვითარდა.

დიმიტრი შველიძე აღნიშნავს- ,,1991 წლის აგვისტო რომ საბედისწერო მოვლენების დასაწყისის თვე იყო საქართველოსა და მისი ხელისუფლებისთვის ცნობილი ამბავია... გაანთავისუფლეს თანამდებობიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ.სიგუა[19]“. ამგვარმა ქმედებამ, ქვეყნის მომავალი თავისმხრივ, განაპირობა. რაც შეეხება მოსახლეობის მდგომარეობას, ისინი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი და უიმედობას განიცდიდნენ როგორც ხელისუფლების ასევე ქვეყნის მომავლის მიმართ, რადგან ხელისუფლება ღრმად იყო ჩაფლული პოლიტიკურ დაპირისპირებებში.

პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ასევე გააუქმა ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა და იგი დაუქვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ ნაბიჯმა გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი განარისხა, რასაც იგი არ დაემორჩილა. მას შეუერთდა თენგიზ სიგუაც. პრეზიდენტის ეს ნაბიჯები მაპროვოცირებელი გარემოებები იყო იმისათვის, რომ დაპირისპირებები სამოქალაქო ომში გადაზრდილიყო.

ოპოზიციასა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის დაპირისპირება სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებდა. გამსახურიდას წინააღმდეგ გაერთიანდა ყველა პოლიტიკური

[19] დიმიტრი შველიძე : პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოშ (1987-1992წ.წ.) (გამომცემლობა „უნივერსალი'' 2008) გვ.247.

პარტია. მიგვაჩნია, რომ ამგვარი დაპირისპირებები ქვეყნისთვის სახიფათო იქნებოდა, რადგან როდესაც მთელი ოპოზიცია ერთიანი ძალებით უტევს მთავრობას, რთულია სტაბილიზაციის დაცვა. ,,1991 წლის შემოდგომაზე დაწყებული პოლიტიკური კრიზისი გამსახურდიას რეჟიმის დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა“ [20] ასე შეაფასა სტივენ ჯონსმა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება .

2.2 დაპირისპირება ტრიუმვირატსა და ზვიად გამსახურდიას შორის

რეალურად, თბილისის ომის გამომწვევი მიზეზი იყო ტრიუმვირატის დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასთან. ვინ შედიოდა ტრიუმვირატში? ჯაბა იოსელიანი, თენგიზ სიგუა და ტენგიზ კიტოვანი. სიგუა და კიტოვანი გამსახურდიას გარემოცვაში იყვნენ. მიმოვიხილოთ თითოეული მათგანის დაპირისპირება.

თენგიზ კიტოვანსა და ზვიად გამსახურდიას თავდაპირველად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც პრეზიდენტმა გააუქმა ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა, რომელიც მას ეკავა. ცხადია, კიტოვანი ამგვარ ნაბიჯს არ შეეგუებოდა და გამსახურდიას ღიად დაუპირისპირდა. ამასთან დაკავშირებით, იგი ინტერვიუში ამბობს, რომ ,,მე ჯარს არ დავშლი, ქვეყანა რომ დაიქცეს, ვიომებ ბოლობოლო... როგორ, ახლა, მე 15 ათასი კაცი ჩაცმული-დახურული მეომარი ბიჭები დამეშალა?...[21]“ კიტოვანი ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებს ომის დაწყებაში. იგი ასევე ამბობს, რომ თბილისის ზღვაზე დაბანაკების შემდეგ შერიგების იმედი ჰქონდა, თუმცა ასე არ მოხდა და საბოლოოდ ქვეყანა გადატრიალებამდე მივიდა. ამ ინტერვიუდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ კიტოვანი ყველას დამნაშავედ თვლის საკუთარი თავის გარდა.

რაც შეეხება ჯაბა იოსელიანს, იგი დააპატიმრეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში, ცხადია , რომ ეს ნაბიჯი, როგორც კიტოვანის შემთხვევაში საბედისწერო აღმოჩნდებოდა პრეზიდენტისთვის, ვინაიდან თბილისის სამოქალაქო ომის დროს, იოსელიანი ციხიდან გამოიქცა და თავის რამდენიმე ათასიან

[20] სტივენ ჯონსი : პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ . (2013) გვ.97
[21] https://www.youtube.com/watch?v=VV80O53qBeo&t=182s (11.06.2023)

,,მხედრიონთან“ ერთად შეუტია ეროვნულ ხელისუფლებას. ,,მხედრიონელები“ და თენგიზ კიტოვანი გაერთიანდნენ და ერთად დაამხეს ზვიად გამსახურდიას მთავრობა.

თენგიზ სიგუა გამსახურდიას მმართველობის პერიოდში პრემიერ მინისტრი იყო, რომელიც ასევე შეუერთდა დაპირისპირებულთა ბანდას. ისინი გაერთიანებული ძალებით უტევდნენ ეროვნულ ხელისუფლებას და საბოლოოდ პრეზიდენტი ძალისმიერი მეთოდებით დაამხეს. სიგუამ თბილისის სამოქალაქო ომის დროს ზვიად გამსახურდიას ულტიმატუმი წაუყენა - ,,მე მოგეცით თქვენ, ბატონო გამსახურდია ბოლო შანსი... აწიეთ თეთრი დროშა და ჩაგვბარდით... ცუდად რომ ხართ თქვენ დიდიხანია ცუდად ხართ და დიდიხანია უნდა გადამდგარიყავით... თქვენ ახლა გამობრძანდებით თუ გინდა სიცოცხლე შეინარჩუნოთ თეთრი დროშით თუარადა ამობუგავენ ყველაფერს..[22]“

ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებაზე საკუთარ მოსაზრებას გამოთვქმს ჩვენს მიერ გამოკითხული ირაკლი ქადაგიშვილი, რომელიც აფასებს დაპირისპირებას თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს და ზვიად გამსახურდიას შორის ,, როგორც ხშირად ხდება, საქართველოში პიროვნული დაპირისპირების ელემენტი ხდება გადამწყვეტი, მერე შენდება გარკვეული პოლიტიკური განსხვავებულებები და მერე ფორმირდება[23]“. მაშასადამე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ დაპირისპირების რეალური მიზეზები გამოწვეული იყო პიროვნული და არა პოლიტიკური მოტივებიდან.

[22] https://www.youtube.com/watch?v=0D_ZKFV3CIs (ნანახია 11.06.2023)
[23] სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოს ირაკლი ქადაგიშვილთან (12.06.2023)

III თავი: თბილისის სამოქალაქო ომის ქრონიკები

3.1 თბილისის სამოქალაქო ომი

სამოქალაქო ომს წინ უსწრებდა 6თვიანი არეულობა ქვეყანაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობის გაუქმებამ წარმოშვა დაპირისპირებები. მაშ ასე, როლები ასე გადანაწილდა ოპოზიციის ლიდერები აღმოჩნდნენ თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ სიგუა. ისინი ღიად დაუპირისპირდნენ ზვიად გამსახურდიას მთავრობას. საბოლოო წერტილი კი 1991 წლის 22 დეკემბრის დილა იყო, როდესაც პირველი გასროლა მოხდა. რომლის შემდეგაც, თბილისის ზღვაზე გამაგრებული კიტოვანი თავის გვარდიასთან ერთად ჩამოვიდა და ომის ცხელ წერტილში ჩაება.

თბილისის სამოქალაქო ომში განსაკუთრებული როლი ითამაშა ჯაბა იოსელიანმა, რომელიც ციხიდან დეკემბერში გამოიქცა. მან გაუქმებული შეიარაღებული არაფორმალური დაჯგუფება ,,მხედრიონი'' აღადგინა. ,,მხედრიონმა'' არამარტო თბილისის ომზე, არამედ საქართველოს მომდევნო ათწლეულზე იქონია უდიდესი გავლენა. საინტერესო დეტალია თუ როგორ დატოვა ჯაბა იოსელიანმა ციხე. მაშინ, როცა დედაქალაქი სამოქალაქო ომში იყო გახვეული, 28 დეკემბერს ოპოზიციის მომხრეებმა ციხე შტურმით აიღეს და ჯაბა იოსელიანი განთავისუფლდა. ეს ფაქტი ცალსახად უსვამს ხაზს კრიმინალის აღზევების დასაწყისს, რომელსაც შემდგომში ხშირად უკავშირებდნენ ,,მხედრიონს''.

ეროვნულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულები მოითხოვდნენ გამსახურდიას გადადგომას, თუმცა პრეზიდენტმა ,,ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ის კორესპონდენტებთან ინტერვიუში, შესაბამის კითხვებზე უპასუხა, რომ ოპოზიციის შეტევებს მთავრობის სასახლის დამცველები გაუძლებდნენ ,,ძალიან დიდხანს''; რომ მისი გადადგომა, პარლამენტის დათხოვა, ახალი არჩევნები თუ რეფერენდუმის ჩატარება მოხდებოდა, მხოლოდ ,,ხალხის'' ნებით და არა კრიმინალთა მოთხოვნით''[24]. ცხადია ,,კრიმინალთა მოთხოვნაში" მხედრიონელები და მისი ლიდერები მოიაზრებოდნენ.

[24] დიმიტრი შველიძე : პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოშ (1987-1992წ.წ.) (გამომცემლობა „უნივერსალი'' 2008) გვ.448

თბილისის ომთან დაკავშირებით საინტერესოა რევაზ გაჩეჩილაძის ჩანაწერი ,,1991 წლის მიწურულის სოციოლოგიური დღიური''. ავტორი ომის პარალელურად აკეთებდა ჩანაწერებს და მასში გაკრიტიკებულია ზვიად გამსახურდია და მისი მმართველობა, 1991 წლის მიწურულის გადმოსახედიდან , თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მცირე ამონარიდი დიალოგიდან, რომლის მიხედვითაც დელისის მეტროსთან თავმოჭრილი კაცის გვამი იყო. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება თუ როგორი სისასტიკით ებყორობდნენ ქართველები ერთმანეთს, ერმა რომელმაც 9 აპრილი გამოიარა და თითქოს გაერთიანდა და ერთსულოვანი გახდა, უდიდესი სულიერი რეგრესი განიცადა, დაუპირისპირდა ერთმანეთს და ერთმანეთის განადგურება დაიწყო.

რომ შევაჯამოთ, ეროვნულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარეობდა მძიმე დაპირისპირება, რომელიც გადაიზარდა 14 დღიან სამოქალაქო ომში. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი თენგიზ კიტოვანი იყო, რომელიც იმ დროს გამოვიდა რუსეთის ტელევიზიით და გააკეთა ისტორიული განაცხადი. ,,საქართველოს დემოკრატიული ძალები უფლებას იტოვებენ, აუცილებლობის შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართონ ბორის ელცინს[25]''. ცხადია, რომ სამოქალაქო დაპირისპირება , რუსეთის ხელით მიმდინარეობდა, ამას ადასტურებს თენგიზ კიტოვანის ერთ-ერთი ინტერვიუ - „24-ში ვაგებდით ომს, ფაქტიურად. მე არ ვაციე, არ ვაცხელე, ფული მქონდა, ყველაფერი და წავედი და ვაზიანში რუსებს მოვთხოვე მომყიდეთ. და ვიყიდე ეს ყველაფერი. და მაშინ, 24- დან დაიწყო ნამდვილი ომი"[26].

1992 წელს, 2 იანვარს გამოქვეყნებული განცხადებით ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის მმართველობის სადავეები ხელში აიღო სამხედრო საბჭომ, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ქვეყანას ამიერიდან კრიმინალური ძალა მართავდა. საინტერესოა, ის რომ სამხედრო საბჭოს ინიციატივით 27 დეკემბრიდან ომში 120 პატიმარი ჩაერთო. ამ 120 პატიმარს შორის კი მხედრიონელები იყვნენ, ,,მხედრიონელი პატიმრები გაათავისუფლეს, რომელთაც პირდაპირ ციხის კარგან გადასცეს სამხედრო ფორმა, იარაღი და მთავრობის

[25] დიმიტრი შველიძე : პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოშ (1987-1992წ.წ.) (გამომცემლობა „უნივერსალი'' 2008) გვ.453

[26] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 127.

სახლის წინ მიიყვანეს... უფრო უარესი შემდეგ მოხდა, როცა ამავე საბჭოს ,,კეთილი ნებით“ 4000 კაცი გაათავისუფლეს საკნებიდან...[27]“. საბოლოოდ კი 3 იანვარს ,,სამხედრო საბჭომ“, მიიღო განკარგულება და თბილისში გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, აკრძალა მიტინგები და დააწესა კომენდანტის საათი. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, იგი სომხეთში წავიდა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ თბილისის სამოქალაქო ომში ,,მხედრიონელები'' აქტიურად ომობდნენ და ოპოზიციას წარმოადგენდნენ. ამასთან დაკავშირებთ, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჟურნალისტ ჯიმშერ ბედიანიშვილის დოკუმენტური კადრები, სადაც ერთ-ერთი ,,მხედრიონელი'' დროშით ხელში იძახის - ,,ვსო, გავათავისუფლეთ საქართველო[28]''. ამაში ცალსახაც იგულისხმება, ზვიად გამსახურდიას დამხობა, ... საინტერესო აღმოჩნდა უცნობი ადამიანის პასუხი... „უნდა დამალოთ, ეს ომი რომ მოიგეთ... არც უნდა მივულოცოთ ერთმანეთს... გიხარია ქართველების დახოცვა?... სამარცხვინო ომი მოიგეთ.” ძალიან ჩუმად ისმის პასუხიც - „ვიცი, რომ სამარცხვინო ომია...''

სწორედ ასეთი ძალისმიერი და კრიმინალური მეთოდებით დაამხეს ზვიად გამსახურდიას მთავრობა. ვთვლით, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ძალადობრივი გზით მოშორება გაუმართლებელია, რადგან ამგვარი ქმედება ცალსახად უთხრის ძირს დემოკრატიას. დემოკრატია ეს ხომ ხალხის მმართველობაა. ხალხმა კი საკუთარი პრეზიდენტი არჩევნების გზით აირჩია, რომელიც დაამხეს და 6 იანვარს ქვეყნიდან ფაქტიურად გააძევეს. მიგვაჩნია, რომ ჯაბა იოსელიანის გარეშე ოპოზიცია დაწყებულ ომში დამარცხდებოდა და ვერ მოახერხებდა ხელისუფლების დამხობას, ამიტომ ჯაბა ,,მხედრიონი'' და ჯაბა იოსელიანი ფაქტიურად მთავარ ძალას წარმოადგენდნენ ქვეყანაში.

3.2 ვითარება ომის შემდეგ

სამოქალაქო ომი ოპოზიციონერთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა სადავო საკითხია სამოქალაქო ომში რომელიმე მხარის გამარჯვებულად ცნობა. ქვეყნის მმართველობის

[27] თენგიზ კუბლაშვილი - ისტორია ,,პირუთვნელის'' ხელში. 1991-1992 წლების ხელისუფლების დამხობის მიზეზების შესახებ. 2005. გვ.48

[28] https://www.youtube.com/watch?v=Zmvd6ZYYe8s (ნანახია 09.06.2023)

სადავეები ხელში სამხედრო საბჭომ აიღო. საინტერესოა ჯაბა იოსელიანის მოსაზრება, იგი საკუთარ თავზე და თენგიზ კიტოვანზე საუბრისას ამბობდა, რომ ,,საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ,,ცნობილი ქურდი და უცნობი მოქანდაკე[29]". ცნობილ ქურდში იგულისხმება ჯაბა იოსელიანი, რომელიც ,,კანონიერი ქურდი" იყო, ხოლო უცნობ მოქანდაკეში თენგიზ კიტოვანი.

ომის დასრულების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაში მშვიდობის დამყარება იყო, თუმცა სამხედრო ფორმირებებს არ შეეძლოთ ამ პრობლემის მოგვარება, ვინაიდან ისინი გამოუცდელები იყვნენ. სამხედრო საბჭო კრიმინალური სარჩულის მქონე სტრუქტურა იყო, ამას ადასტურებს ჯაბა იოსელიანის დაჟინებული ინიციატივით გამოცხადებული ამნისტია, რომლის შედეგადაც 8 ათასი პატიმარი გათავისუფლდა. ცხადია, რომ ამდენი დამნაშავის ციხიდან გამოსვლა ქვეყანაში დანაშაულს საგრძნობლად გაზრდიდა და ქვეყანა კრიმინალში გაეხვეოდა და ასეც მოხდა. გამომდინარე იქიდან , რომ სამხედრო საბჭომ ქვეყანაში წესრიგი ვერ დაამყარა, ქვეყანაში სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოიწვიეს, რომელიც საქართველოში 1992 წლის 7 მარტს ჩამოვიდა.

სამხედრო საბჭოსთან დაკავშირებით საინტერესოა პროფეროს --- მოსაზრება ,,რეალურად, ტრიუმვირატს არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა ქვეყნის მართვის, ამიტომ სამხედრო საბჭომ შევარდნაძის მოწვევით თამაში ჩააბარა მოთამაშეს. პოლიტიკა ჩაბარდა პოლიტიკოსს. შევარდნაძე პოლიტიკურ თამაშებში მარტივად ჩაერთო. ჯაბა იოსელიანმა შევარდნაძეში იპოვა ხსნა."[30]

თბილისის სამოქალაქო ომის შემდეგ პერიოდს განიხილავს ირაკლი ქადაგიშვილი და ამბობს, რომ დიდი მსჯელობა იყო გამართული იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი და პოზიცია უნდა ჰქონოდა ედუარდ შევარდნაძეს. ქართულ პოლიტიკაში ამასთან დაკავშირებით აზრები ირეოდა ,, გავიხსენებ ზურაბ ჟვანიას- ეხლა შევარდნაძე რომ ჩამოიყვანოთ და გასტრონომის სექციის გამგეთ დანიშნოთო მთელი საქართველო იმ

[29] გივი ლობჟანიძე, გიორგი ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბ. ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრი, 2004 გვ.101-102

[30] სიღრმისეული ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ივანე წერეთელთან (13.06.2023)

სექციაში ივლისო, ამიტომ როცა ჩამოვა შესაბამისი პოლიტიკური თანამდებობა უნდა ჰქონდეს რომ მან ამით მოახერხოს ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაცია[31]“. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ედუარდ შევარდნაძე ჩამოიყვანეს იმ მოტივით, რომ ის იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც გარკვეული გავლენით ისარგებლებდა მოსახლეობაში.

3.3 ედუარდ შევარდნაძე

მას შემდეგ, რაც ჯაბა იოსელიანი მიხვდა, რომ ვერ შეძლებდნენ ქვეყნის მართვას, გადაწყვიტა, რომ ედუარდ შევარდნაძე მოეწვია. მან მართალია შექმნა ქვეყანაში ჯარის მსგავსი სტრუქტურა, თუმცა არ ჰქონდა გამოცდილება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ, ამასთან დაკავშირებით, შევარდნაძემ ჩამოფრენისთანავე გააკეთა კომენტარი, - ,,მე მივესალმები ჩემს მეგობარ ქართველ ინტელიგენციას, რომელმაც როცა საჭირო გახდა , იარაღი და ავტომატი დაიჭირა ხელში იმისათვის, რომ საქართველოსათვის ებრძოლა, რომელმაც ადრე გამოაფხიზლა ქართველი ხალხი. მადლობა მათ.“ [32] ცხადია, რომ ინტელიგენციაში ტრიუმვირატი იგულისხმა. თუმცა ეს ინტერვიუ წლების განმავლობაში იყო გამქრალი და შევარდნაძე ყოველთვის უარყოფდა ამ სიტყვებს, იგი ამბობდა რომ კრიმინალებს ებრძოდა იოსელიანის სახით.

შევარდნაძის ქვეყანაში ჩამოსვლა ჯაბა იოსელიანის აქტიური მოთხოვნით მოხდა ამასთან დაკავშირებით საუბრობს პროფესორი ივანე წერეთელი ,, შევარდნაძისთვის ჯაბა იოსელიანი იყო დასაყრდენი პირველ ეტაპზე. იოსელიანს სურდა რომ შევარდნაძე ჩამოსულიყო და ემართა ქვეყანა, ხოლო თავისმხრივ შევარდნაძეს მართავდა ტრიუმვირატი. პირველ ეტაპზე ჯაბა იყო მთავარი დასაყრდენი, შემდეგ კი მთავარი მოწინააღმდეგე გახდა.[33]“

მაშ ასე, შევარდნაძე ჩამოვიდა არეულ საქართველოში, სადაც მუდმივი ქაოსი სუფევდა და ქვეყანა კრიმინალში დღითიდღე ეფლობოდა. სტივენ ჯონსი წერს, რომ ,,მხედრიონი

[31] სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოს ირაკლი ქადაგიშვილთან (12.06.2023)
[32] https://www.youtube.com/watch?v=0D_ZKFV3CIs (ნანახია 11.06.2023)

[33] სიღრმისეული ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ივანე წერეთელთან (13.06.2023)

და სხვა შეიარაღებული არაფორმალები ღიად ატარებდნენ იარაღს ქუჩაში, სასტუმროებსა და პარლამენტშიც კი. ღამღამობით თბილისს არ აძინებდა სროლისა და სწრაფად მიმავალი მანქანების დამუხრუჭების ხმა...“[34]. ცხადია, რომ ქვეყანაში, სადაც პარლამენტშიც კი იარაღით დარბიან და არ იცავენ მოსახლეობის სიმშვიდეს, რთული იქნებოდა სიტუაციის დასტაბილურება, რამეთუ ამგვარი ქმედება ცალსახად მიანაიშნებს პოლიტიკის კრიმინალიცაზიას.

მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, შევარდნაძემ შეძლო და ვითარება შედარებით დაასტაბილურა.მისი ჩამოსვლიდან მესამე დღეს, სამხედრო საბჭო დაიშალა. ცხადია, რომ ეს ნაბიჯი ოთხივე მათგანთან იყო შეთანხმებული, ვინაიდან ჯაბა იოსელიანი არ დაუშვებდა, რომ შევარდნაძეს იგი გვერდიდან ჩამოეშორებინა. თუმცა, სამომავლოდ ბედის ირონიით მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

[34] სტივენ ჯონსი : პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ . (2013) გვ. 106.

IVთავი: მხედრიონი

4.1 როგორ შეიქმნა მხედრიონი

მოცემულ თავში საუბარი იქნება მხედრიონსა და მის ლიდერებზე, ასევე განხილული იქნება ,,მხედრიონის'' როლი აფხაზეთის ომში, თუმცა სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავალთ, აუცილებელია ვახსენოთ თუ რატომ და რა მიზნით შეიქმნა ,,მხედრიონი''.

,,1989 წელს კანონიერმა ქურდმა ჯაბა იოსელიანმა მაშველთა კორპუსი შექმნა, მათი უმთავრესი მოვალეობა სტიქიური უბედურებებისას მოსახლეობის დახმარება და გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება იყო.'' [35] თუმცა თბილისის სამოქალაქო ომის დროს ეს კორპუსი გარდაიქმნა სამხედრო დაჯგუფებად, რომელსაც შემდგომში ,,მხედრიონი" ეწოდა. დაჯგუფების ლიდერი ჯაბა იოსელიანი იყო, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა, საინტერესოა ის, რომ ,,მხედრიონს'' ქალი სნაიპერიც დოდო გუგეშაშვილი ჰყავდა. გუგეშაშვილი გაზეთ თბილისელებთან ინტერვიუში იხსენებს, რომ ,,მხედრიონის" შექმნა თავდაპირველად ემსახურებოდა ეთნოკონფლიქტების დარეგულირებას, როცა საქმე ეხებოდა ბარჩალოს ავტონომიას, რომელიც უიარაღოდ მოგვარდა. გუგეშაშვილი საქმის უმსხვერპლოდ მოგვარებას ჯაბა იოსელიანის ავტორიტეტს უკავშირებს და ამბობს რომ ,,მის ავტორიტეტს ძალიან დიდ ანგარიშს უწევდნენ, იცოდნენ რომ სიტყვის კაცი იყო. პრაქტიკულად, ჩვენ ვიყავით პირველი შეიარაღებული ფორმირება [36]". მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ,,მხედრიონის" გავლენა გარკვეულწილად გამომდინარეობდა ჯაბა იოსელიანის ავტორიტეტიდან.

,,მხედრიონის დაჯგუფებამ საქართველოში დისლოცირებული რუსი სამხედროებისა და სხვადასხვა კრიმინალური სინდიკატების საშუალებით დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და მძიმე ტექნიკა მიიღო[37]". მაშასადამე, ცხადია, რომ ,,მხედრიონი'' საკმაოდ საშიშ ძალას წარმოადგენდა, დაჯგუფებამ თავი გამოიჩინა აფხაზეთის ომშიც. ომის დროს, ისინი აყაჩაღებდნენ და აუბედურებდნენ მოსახლეობას.

[35] https://www.youtube.com/watch?v=2q4XijMMENY&t=31s (ნანახია 10.06.2023)
[36] https://for.ge/view/25028/rogor-Seiqmna-mxedrioni.html (ნანახია 10.06.2023)
[37] https://www.youtube.com/watch?v=2q4XijMMENY&t=31s (ნანახია 10.06.2023)

მიგვაჩნია, რომ ამის წამახალისებელი გარემოება მათი ლიდერის, ჯაბა იოსელიანის წარსული იყო, რომელიც კანონიერი ქურდის სტატუსს ატარებდა, გარდა ამისა იგი ამ პერიოდში პარლამენტის წევრიც იყო, რის საფუძველზეც მიგვაჩნია, რომ იოსელიანის ავტორიტეტიდან გამომდინარე მათ არავინ დასჯიდა.

4.2 ჯაბა იოსელიანი

უკვე ბევრჯერ აღვნიშნეთ, რომ ,,მხედრიონის'' სულისჩამდგმელი ჯაბა იოსელიანი იყო, თუმცა საინტერესოა ამ ადამიანის ცხოვრება და კრიმინალური წარსულიც, რადგან კრიმინალური წარსულის მქონე პიროვნება გახდა შემდგომში პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყანას ფაქტიურად 1992-1995წლამდე მართავდა.

ჯაბა იოსელიანმა ბავშვობიდანვე მიჰყო ხელი ქურდობას, რამაც მომავალში მისი პიროვნების ჩამოყალიბება განაპირობა. იგი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს - ,, მოკლედ კი იმის თქმა შემიძლია, რომ როდესაც 14-15 წლის ვიყავი, სხვა გზას ვერ ვხედავდი... ნ. ანუ უნდა ყოფილიყავი მონა. ამას კი მიჯობდა, ჩემი თავის პატრონი თვითონ ვყოფილიყავი.[38]" საინტერესოა ეს სიტყვები იმ ადამიანისგან, რომელმაც ციხეში ჯამში 23 წელი გაატარა. იოსელიანს ერჩივნა, რომ მონობაში გადიდკაცებას თავისუფლების ძებნაში მომკვდარიყო, თუმცა ციხეში გატარებული წლების რაოდენობა თავისუფლების სიყვარულს საეჭვოს ხდის.

იოსელიანი იხსენებს მხედრიონის შექმნას და ამბობს - ,, ესეც ცხოვრებამ მოიტანა. უკვე ვგრძნობდი, რომ საქართველო დამოუკიდებელი გახდებოდა. ამ პერიოდში კი საჭირო იყო ძალა, რომელიც ჯარის ან პოლიციის ფუნქციას შეასრულებდა - წესრიგი ხომ უნდა ყოფილიყო? ...[39]" მართალია, მას მიაჩნდა, რომ ამ დაჯგუფებას სიმშვიდე უნდა დაემყარებინა, მაგრამ,,მხედრიონმა'' კრიმინალითა და სისასტიკით დაამახსოვრა ადამიანებს თავი, სამეგრელოში გამოჩენილმა სისასტიკემ წარუშლელი კვალი დაუტოვა ყველას.

ჯაბა ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს ,,მხედრიონელთა'' ფიცის დადებას - ,, ჩვენს პოზიციებს თანდათან უფრო მეტი და მეტი ადამიანი იზიარებდა... "საქართველოს

[38] https://reitingi.ambebi.ge/aqtualuri-sakhe/1511- (ნანახია 11.06.2023)
[39] https://reitingi.ambebi.ge/aqtualuri-sakhe/1511- (ნანახია 11.06.2023)

მხედრიონმა" უკვე თავისი მოქმედების მემორანდუმი გამოაქვეყნა და შავნაბადას ეკლესიაში ფიცი დავდეთ სამშობლოს ერთგულებაზე და საქართველოს ინტერესების დაცვაზე. ჩვენი ურთიერთობა ქართულ საზოგადოებაში ამით დაიწყო – ლოცვით და ფიცით[40].'' თუმცა მომდევნო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა, განსაკუთრებით თბილისის ომმა და სამეგრელოში გამოჩენილმა სისასტიკემ ცხადყო, რომ ,,მხედრიონი'' არა პატრიოტული მოტივებით, არამედ კრიმინალური განზრახვებით მოქმედებდა. ის რაც, მხედრიონმა ქართველი მოსახლეობის წინაშე ჩაიდინა უდიდესი დანაშაულია, რომელსაც ვერც დრო და ვერც სინანული ვერ გამოასწორებს.

რაც შეეხება იმას, თუ რისთვის იბრძოდა იოსელიანი და რა სურდა, ამაზე საუბრობს გიგა არველაძე იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემაში ,,საქართველოს დაბადება". ,,ჯაბა იოსელიანს კარგი საქართველო უნდოდა... ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ ჯაბა არ იყო სახელმწიფო მოღვაწე, ჯაბა შემოქმედებითი ნატურა იყო, ჯაბა ავანტიურისტი იყო, ჯაბა ფათერაკების მაძიებელი ადრენალინის მოყვარული კაცი იყო... უმეტეს შემთხვევაში ჩვენზე წინ მიდოდა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ჩვენთან ერთად ომობდა...[41]" იგი ასევე იხსენებს, რომ ჯაბა იოსელიანი ქუდული სამყაროს წესებით ცხოვრობდა და არაფერს აკეთებდა ისეთს, რაც ქურდული სამყაროსთვის მიუღებელი იქნებოდა.

ჯაბა იოსელიანზე საუბრობს ირაკლი ქადაგიშვილი და მიიჩნევს, რომ გზა, რომელიც კრიმინალთან იყო დაკავშრებული ბუნებრივია, მის აზროვნებაზე და ქმედებაზე აისახებოდა. მაგალითად ესეთი ფრაზა ქონდა რა საჭიროა ეს პროკურატურა?! არუნდა იყოს! გადმონაშთია. ის რაც მის კრიმინალურ წარსულს უკავშირდება, ბუნებრივია პოლიტიკურ კურსზეც აისახებოდა.[42]

4.3 ,,მხედრიონის'' გავლენა თბილისის ომზე

თბილისის სამოქალაქო ომში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ,,მხედრიონი" , ისინი იარაღით ბრძოლის გარდა მოსახლეობაში ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, რაც უფრო მეტად უწყობდა ხელს ომის გამწვავებას და საზოგადოების დეზინფორმირირებას.

[40] http://kvira.ge/184434 (ნანახია 11.06.2023)
[41] https://www.youtube.com/watch?v=chFJuNgZpik (ნანახია 11.06.2023)
[42] სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოს ირაკლი ქადაგიშვილთან (12.06.2023)

წიგნში ,,საქართველო დამოუკიდებლობის მიმავალ გზაზე: ტრამვა და ტრიუმფი“ რესპოდენტი რუსუდან თაბუკაშვილი იხსენებს, რომ ,,...რუპორში გაჰყვიროდნენ, 'ხალხო, ადექით, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, ზვიად გამსახურდიამ შავნაბადაზე ხალხი ჩახოცა.' ჯაბა იოსელიანის მხედრიონელები დადიოდნენ ასე მანქანით... მერე როგორც აღმოჩნდა, არ იყო ეს სიმართლე.[43]“ ცხადია, რომ ოპოზიციონერთა ასეთი ქმედება დადებით გავლენას იქონიებდა მათ მდგომარეობაზე, საბოლოოდ კი მართლაც, რომ მათი გამარჯვებით დასრულდა ომი და ქვეყნის სათავეში მოვიდნენ კრიმინალები.

,,მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა არველაძე იყო, საინტერესოა ამ ადამიანის შეხედულება ომთან დაკავშირებით. იგი იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემაში ,,საქართველოს დაბადებაში“ ამბობს რომ - „მხედრიონელებს შეიძლება ვუწოდოთ უდანაშაულო დამნაშავეები, რადგან მათ გაცნობიერებული არ ჰქონდათ მთელი ეს ამბავი... ამ ორგანიზაციის წევრების უმრავლესობა იყვნენ ისტორიის არაცნობიერი აქტორები, მათ არ იცოდნენ ის როლი და მისია, რომლის შესრულებაც მათ დააკისრეს...[44]“ საინტერესოა მოვლენის ამგვარი შეფასება, ვინაიდან როგორც წესი დამნაშავეები არასდროს თვლიან თავს დამნაშავედ, თბილისის ომის შეფასებისას აღვნიშნეთ, რომ კიტოვანი ცალსახა მაგალითია იმ ადამიანისა, რომელიც საკუთარ დანაშაულს არ აღიარებს, თუმცა მხედრიონელთა შემთხვევაში მათ გაიაზრეს საკუთარი ქმედების არსი და მიხვდნენ დანაშაულის სიმძიმეს.

თბილისის სამოქალაქო ომში მხედრიონის როლს აფასებს პროფესორი ივანე წერეთელი ,,თბილისის სამოქალაქო ომში გადამწყვეტი როლი ითამაშა მხედრიონმა და ჯაბა იოსელიანმა. კიტოვანი და მისი გვარდია უკვე დაწყებულ ომში წარმატებას ვერ აღწევდნენ და გადაწყვიტეს იოსელიანის ციხიდან დახსნა... კრიმინალთან ერთად იგი ინტელიგენტიც იყო. სწორედ ამ მიზეზების გამო, გადამწყვეტი როლი ჯაბა იოსელიანმა და მისმა მხედრიონმა ითამაშა სამოქალაქო ომში[45]“.

---

[43] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 254.

[44] https://www.youtube.com/watch?v=chFJuNgZpik (ნანახია 11.06.2023)

[45] სიღრმისეული ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ივანე წერეთელთან (13.06.2023)

V თავი: დაპირისპირებები დასავლეთ საქართველოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაპირისპირების ყველაზე ცხელ წერტილად დასავლეთ საქართველო, კერძოდ სამეგრელო იქცა. ამასთან დაკავშირებით სამხედრო საბჭომ, შეიარაღებული ჯარები გაგზავნა სამეგრელოში. ,,მხედრიონის" გაგზავნამ სამეგრელოს მომავალი განაპირობა, ვინაიდან ამის შემდეგ დაიწყო მოსახლეობის ტერორი და სრული განუკითხაობა. განსაკუთრებული ტრაგედიაა სოფელ დარჩელის გადაწვა, რომელსაც დეტალურად განვიხილავთ.

5.1 აფხაზეთის ომი

დაპირისპირებები აფხაზეთში ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე თბილისის სამოქალაქო ომი. ქართველებსა და აფხაზეთის არაქართველ მოსახლეობას შორის დაპირისპირება გამოიწვია შემდეგმა- არაქართველ მოსახლეობას სურდა, რომ რუსეთის ნაწილი გამხდარიყო, ხოლო ქართველები არ ეგუებოდნენ ამ აზრს და 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას არ მიიჩნევდნენ ლეგიტიმურად. სამხედრო საბჭომ თებერვალში, ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამდე გამოსცა დადგენილება, რომ უნდა გაუქმებულიყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია და საჭირო იყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა. ამ გადაწყვეტილებას, არ შეეგუებოდა აფხაზეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც რუსეთის კლანჭებ ქვეშ ხედავდა ხსნას და აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ძველი 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. ცხადია, რომ ეთნოკონფლიქტური დაძაბულობა ნელნელა ღვივდებოდა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიღებული გადაწყვეტილება სამხედრო საბჭომ გააუქმა, რასაც სოხუმში უკმაყოფილებები მოჰყვა.

ამის შემდეგ, 1992 წლის 10 აგვისტოს, გადაწყდა, რომ თბილისიდან აფხაზეთის მიმართულებით, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით შევიდოდა ჯარი. მიზეზად კი იმდროინდელი მთავრობა ასახელებდა, აფხაზეთში გადაყვანილი მძევლების დახსნასა და რკინიგზაზე წესრიგის დამყარებას, რამეთუ ხშირად ხდებოდა სატვირთო მატარებლების ძარცვა. მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის ომისწინარე პერიოდი ბოროტად იქნა გამოყენებული ორივე მხარის მიერ, ვინაიდან მარტივი პრობლემები დაპირისპირების ფონზე კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა.

1992 წლის 14 აგვისტო იქცა დღედ, როდესაც ყველა პრობლემა ერთად კონცენტრირდა. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, თენგიზ კიტოვანის მეთაურობით ჯარი აფხაზეთში შევიდა, რათა გაეკონტროლებინა სარკინიგზო მაგისტრალი. თუმცა ,,ქართულმა შენაერთებმა ომის პირველ დღეებში ყველა საკვანძო დასახელებული პუნქტის გაკონტროლება ვერ მოახერხეს. კერძოდ, ამას ხელი შეუშალა ენგურის სარკინიგზო ხიდის აფეთქებამ. ხიდი სავარაუდოდ, ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ააფეთქეს.[46]“ თუმცა, სტივენ ჯონსი თენგიზ კიტოვანის შესახებ წერს, რომ ,,დასავლეთ საქართველოშ გაჩერების ნაცვლად, კიტოვანი აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმისკენ წავიდა, ზურგსუკან კი ნრგევა და მტრები დატოვა... ვინ მისცა კიტოვანს სოხუმის დაკავების ბრძანება გაურკვეველია. შესაძლოა ეს კიტოვანის პირადი საომარი ხრიკი იყო,რათა ხელი შეეშალა საქართველოში ოქტომბრის არჩევნების ჩატარებისთვის.“. უკვე აღვნიშნეთ, რომ კიტოვანი არ იყო მოხიბლული შევარდნაძის ქვეყანაში ჩამოსვლის იდეით, ამიტომ სავარაუდოა, რომ სწორედ შევარდნაძის წინააღმდეგ მოძრაობდა იგი, რამაც აფხაზეთში მდგომარეობა უფრო გაამწვავა. მაშ ასე, 14 აგვისტოს სეპარატისტებმა შეუტიეს ქართულ ჯარს.საბოლოო ჯამში, ომი 13 თვის განმავლობაში გრძელდებოდა, რასაც მოჰყვა უამრავი ადამიანის დევნილად ქცევა. ლტოლვილთა ნაკადმა შემდგომში კრიმინალის დონე კიდევ უფრო გაზარდა.

აფხაზეთის ომთან დაკავშირებით, ირაკლი ქადაგიშვილი გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას და ამბობს, რომ ,,ოპერაცია სულ სხვა სტილით იყო დაგეგმილი, მაგრამ კიტოვანს სხვა პოზიცია ჰქონდა, რომელმაც განაპირობა ის რომ განვითარდა მოვლენები არა იმ სცენარით რომლითათაც იგეგმებოდა, არამედ ისე როგორც განვითარდა[47]“. იგი ასევე აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ომის წინააღმდეგი იყო იოსელიანი, ყველგან ამბობდა ამის შესახებ ,,ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ კიტოვანის ქმედებებმა განაპირობა ომის სხვა მიმართულებით წასვლა და აქ მისი ბრალეულობა საკმაოდ დიდია.“ საინტერესოა ამგვარი შეფასება, მაშინ, როცა კიტოვანის აზრით მის გარდა აფხაზეთის

[46] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-25/29512773.html (ნანახია 12.06.2023)

[47] სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოს ირაკლი ქადაგიშვილთან (12.06.2023)

ომში ყველა დამნაშავე იყო. მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის ომში ,,მხედრიონის“ და კიტოვანის როლი საკმაოდ დიდია. სადავო საკითხია, რამდენად პატიოსნად იბრძოდნენ მხედრიონელები ომში.

13 თვის განმავლობაში იდებოდა ხელშეკრულებები და შეთანხმებები ომის შეწყვეტის შესახებ, თუმცა ამაოდ. 1993 წლის ივლისში, სოჭში დაიდო ხელშეკრულება ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ, რომელშიც გარანტორად რუსეთი გამოდიოდა. თუმცა არც ამ შეთანხმებამ გამოიღო შედეგი. 27 ივლისს დადებული შეთანხმება, სეპარატისტების მხრიდან დაირღვა. მათ უდიდესი სამხედრო დახმარება გაუწია რუსეთმა და აფხაზეთის მხარემ იერიში მიიტანა მშვიდობიან მოსახლეობაზე. დარღვეულ შეთანხმებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ედუარდ შევარდნაძემ ,, უკვე მესამედ, ვენდეთ რა რუსეთის სამშვიდობო მისიას, მის, როგორც გარანტისა და შუამავლის როლს, დავდეთ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება და პასუხად კვლავ ღალატი მივიღეთ[48]“.

საბოლოოდ, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა, საქართველოს ლტოლვილთა დიდი ტალღა დააწვა. ცხადია, რომ ასეთი პროცესები გავლენას იქონიებდა კრიმინალურ ვითარებაზე. გახშირდა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა..

5.2 მხედრიონის როლი აფხაზეთის ომში

აფხაზეთის ომში ,მხედრიონთან“ დაკავშირებით საზოგადოებაში აზრი ორად იყოფა, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ომში მხედრიონი განსაკუთრებულად იბრძოდა , მეორე ნაწილი კი თვლის რომ მხედრიონელები აფხაზებს აწიოკებდნენ ომის დროს და განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ. ერთ-ერთი მხედრიონელის, გიგა არველაძის თქმით, აფხაზეთის ომში 1200-1400 მეომარი იბრძოდა, რომელთა ნახევარიც ომში დაიღუპა. აფხაზეთის ომში თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი, ,,მხედრიონისა'' და ,,ეროვნული გვარდიის'' საშუალებით აქტიურ საბრძლო მოქმედებებს ახორციელებდნენ. ზოგადად, ომს ახასიათებს ძარცვა, თუმცა სამამულო ომის დროს ამგვარ ქმედებას გამართლებას რთულად თუ მოვუძებნით. ცნობილია, რომ ომის დროს სამხედრო

[48]http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_7.pdf

ფორმირებები ძარცვავდნენ და წვავდნენ სახლებს, ამასთან დაკავშირებით გიგა არველაძე იაგო ხვიჩიასთან ინტერვიუში ამბობს, რომ ,,ომი თავისთავად არის ძალადობა, იქ ყველაფერი მოსულა.... ხედავ, რომ რაღაცეებს ეზიდება მიტოვებული სახლებიდან, ვერ ეტყვი ... რომ მე რომ ახლა აქ დავიჭრა, ან რომ მოვკვდე შენ მიხედავ ჩემს ოჯახს თუ სახელმწიფო მიხედავს?[49]“ მიგვაჩნია, რომ ომის მიუხედავად, ქართველს არ უნდა გაეძარცვა საკუთარი თანამემამულის სახლი. ომის დროს გამოჩნილი სისასტიკე დიდი დარტყმა აღმოჩნდა მოსახლეობისთვის.

აფხაზეთის ომში მხედრიონის როლზე ასევე საუბრობს დოდო გუგეშაშვილი, გადაცემაში ,,სიცრუის დეტექტორი“ . იგი ამბობს, რომ ,,მხედრიონი 90-იან წლებში იყო ბრძოლაში და არავის არ დაგვავიწყდეს, რომ ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო მხედრიონმა. 800 ბიჭი შეეწირა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას...[50]”. ეს პერიოდი ფაქტიურად არის სირცხვილის დრო, როდესაც ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

აფხაზეთის ომს თან დაერთო დაპირისპირება სამეგრელოში. ,,წითელი ზონის“ საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ - ,,ომის დროს აფხაზეთში მხედრიონს იმიტომაც გაუჭირდა, რომ გამსახურდიას მომხრეებმა მხარი არ დაუჭირეს... სამეგრელო გადაკეტეს და ადამიანთა დიდ ჯგუფებს სიცივესა და ყინვაში კოდორის ხეობის გავლით მოუხდათ აფხაზეთიდან გამოსვლა... ამიტომ მხედრიონის მიერ ზუგდიდის აღება და სამეგრელოზე კონტროლის დაწესება ახსნილი იყო, როგორც ბანდ ფორმირებების ლიკვიდაცია...[51]“

ასეა თუ ისე, დანაშაულებრივი თუ არადანაშაულებრივი გზით მხედრიონელები იბრძოდნენ აფხაზეთის ომში, როგორც გიგა არველაძე ამბობს ფაქტიურად მხოლოდ პირადი იარაღების იმედზე. აზრთა სხვადასხვაობის გამო, რთულია იმის თქმა მხედრიონი დანაშაუელებრივი გზით იბრძოდა თუ არა ომში.

[49] https://www.youtube.com/watch?v=chFJuNgZpik&t=5051s
[50] https://www.youtube.com/watch?v=KOjB2Lmd4Ag
[51] https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/24585797.html (წანახია 12.06.2023)

5.3 მხედრიონი სამეგრელოში

თბილისის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, დაპირისპირების ყველაზე ცხელ წერტილად სამეგრელო იქცა. სამარცხვინო ომის დასრულების შემდეგ ზვიად გამსახურდია ქვეყნიდან გააძევეს, ამასთან დაკავშირებით ზუგდიდში აქტიური საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. მოსახლეობა არ ეგუებოდა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის დამხობას და სამხედრო საბჭოს არალეგიტიმურად მიიჩნევდა. ასევე, აღსანიშნია რომ ჭორები ყოველთვის ბოროტად ვრცელდებოდა და ხმა გავარდა, რომ გამსახურდია ზუგდიდში იმყოფებოდა. აღშფოთებულმა ხელისუფლებამ კიტოვანის გვარდიისა და იოსელიანის ,,მხედრიონის“ წევრები დასავლეთ საქართველოში გაგზავნა. ამის შემდეგ დაიწყო სამეგრელოში უმძიმესი პერიოდი.

ცხადია, რომ ახალ ხელისუფლებას, რომელიც სათავეში ძალისმიერი მეთოდებით მოვიდა, არ აწყობდა, რომ ქვეყნის რომელიმე კუთხე მისი წინააღმდეგი ყოფილიყო. იყენებდა ყველანაირ ძალას, რათა მოსახლეობა დაემორჩილებინა და ქვეყანაში ისეთივე წესრიგი დაემყარებინა, როგორიც საბჭოთა კავშირში იყო. სწორედ ამიტომ, ტრიუმვირატისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს სამეგრელო წარმოაგდენდა. წიგნში ,,საქართველო დამოუკიდებლობის მიმავალ გზაზე: ტრამვა და ტრიუმფი“ რესპოდენტი ხათუნა დარასელია ,,მხედრიონის'' სამეგრელოში შესვლას იხსენებს- ,, მსუბუქი მანქანისთვის ძალიან გადავსებული მეჩვენა ხალხით... სახლში როცა მივედით, გავიგეთ მეზობლებისგან, რომ უკვე შემოვიდნენ... ყველაზე პირველი, რაც გავიგეთ იმ დღეს, შემოსვლისას, დახვრიტეს ერთი ბიჭი კინოთეატრის წინ. ... ეს იყო გოჩა ჯიქია, პირველი მსხვერპლი მათი...[52]“ ცხადია, რომ ახალი ხელისუფლება არ მოერიდებოდა კრიმინალის საშუალებით დაემორჩლებინა სამეგრელოს მოსახლეობა. გოჩა ჯიქიას მკვლელობას, ხელისუფლება არ ცნობდა და ამბობდა, რომ სუფთა ომი მიმდინარეობდა, თუმცა სადავო საკითხია რამდენად იყო ,,სუფთა'' ის ყველაფერი, რაც ,,მხედრიონმა'' სამეგრელოში ჩაიდინა.

[52] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 135.

,,მხედრიონი“ სამეგრელოში ორჯერ შეიჭრა, მეორე შესვლა ბევრად უფრო მტკივნეული და რთული აღმოჩნდა. 1993 წლის ნოემბერში ,,მხედრიონის“ სამეგრელოში შესვლას, თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ლაშქრობა, ვინაიდან 16 ნოემბერს მხედრიონელებმა სოფელ დარჩელში, ერთ ღამეში 27 სახლი გაძარცვეს, შემდეგ კი გადაწვეს. 27 ოჯახთან ერთად, აფხაზეთის დევნილი მოსახლეობა, რომლებიც ამ სახლებში აფარებდა თავს ფაქტიურად ღია ცის ქვეშ დარჩა. თუმცა, სანამ ,,მხედრიონელები“ დარჩელს მიწასთან გაასწორებდნენ, იქამდე ,,მხედრიონელების“ მანქანა დაიწვა და ორი მათგანი დაიღუპა. შეიძლება ითქვას, რომ მხედრიონმა შურისძიების მიზნით გადაწვა სოფელი. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო აღმოჩნდა ,,წითელი ზონის“ საარქივო მასალა ,,მხედრიონი და გადამწვარი სოფელი“. რესპოდენტები იხსენებენ, რომ საკუთარი თვალით უყურებდნენ თუ როგორ იწვოდა მათი სახლები, ისინი იმალებოდნენ სხვადასხვა ადგილას, რადგან მხედრიოენელების ეშინოდათ. დარჩელის ტრაგედიასთან დაკავშირებით ადგილობრივი ბაჩო კირცხაია ამბობს, რომ - „1993 წლის 16 ნოემბერს ჩემი სახლის წინ ზვიადისტებმა ორი მხედრიონელი მოკლეს.დოდო გუგეშაშვილი წინ მოუძღოდა. სახლი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი ‘ბე-ტე-ერ-ებით’ მოადგნენ, ყუმბარმტყორცნები დაუშინეს[53]“. მხედრიონელების სისასტიკეს, ასევე ადასტურებს ერთ-ერთი რესპოდენტის ინტერვიუ, რომლის წყაროც ,,წითელი ზონის“ არქივია. ,,ოქროს კბილი ვისაც ჰქონდა დაიძრეთო ეს კბილებიო. ლტოლვილები იყვნენ სოხუმელები მოსულები- ბეჭედი მოიძრეთო, თითი უნდა მოგაჭრათო... ესეიგი ოჯახი არ დაუტოვებიათ... არ ჰქონდა მნიშვნელობა ვინ იყო შევარდნაძისტი თუ ზვიადისტი... არავინ დაუტოვებიათ[54]“.

სამეგრელოს მოსახლეობის ამგვარ განცხადებასთან დაკავშირებით ,,მხედრიონელი“ დოდო გუგეშაშვილი აცხადებდა, რომ ,,მხედრიონელებს“ სამეგრელოში არცერთი მშვიდობიანი მოქალაქე არ მოუკლავთ, ამასთან გიორგი გასვიანის გადაცემა ,,სიცრუის დეტექტორში“ ამბობს, რომ დარჩელში მოსახლეობისთვის სახლების გადაწვა არასამართლიანი შურისძიება იყო, რომელშიც თვითონ არ მიუღია მონაწილეობა. ასევე ამბობს, რომ სოფელ ,,დარჩელის“ გადაწვას მას უსაფუძვლოდ აბრალებდნენ.

---

[53] იქვე გვ. 137

[54] https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/24585797.html (წანახია 12.06.2023)

VI თავი: კრიმინალი საქართველოს 1990-იან წლებში

6.1 კრიმინალი პოლიტიკაში

თბილისის სამოქალაქო ომმა, ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. რაც კრიმინალის სათავეში მოსვლას გულისხმობს. ცხადია, მათი მმართველობა გამოიწვევდა კრიმინალის დონის გაზრდას არამარტო მოსახლეობაში, არამედ პოლიტიკაშიც.

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა თავდაპირველად მხოლოდ სიმბოლური იყო, თუმცა შევარდნაძე არ იყო ის ადამიანი, რომელიც ვინმეს მარიონეტი იქნებოდა. მაშ ასე, შევარდნაძე 1993 წელს გახდა მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე, 1995 წელს კი საქართველოს პრეზიდენტი. მეორეს მხრივ ამ პერიოდში, ჯაბა იოსელიანი გახდა პარლამენტის წევრი. თავისმხრივ ედუარდ შევრდნაძეც მასზე იყო დამოკიდებული, ვინაიდან ქვეყანის მთავარ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდა ,,მხედრიონი", რომლის ლიდერიც ჯაბა იოსელიანი იყო. აქედან გამომდინარე იოსელიანი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი გამოჩენილი კანონიერი ქურდი, ფაქტიურად ქვეყანას მართავდა.

იოსელიანის გავლენიდან გამომდინარე, საქართველოს ყველა ქალაქში ჰყავდა წარმომადგენელი ,,მხედრიონი" აკონტროლებდა ნავთობ-პროდუქტებსა და იატაკ ქვეშა ბიზნესს. ,,მხედრიონის" წევრის დაკავება კრიმინალური შემთხვევის დროს, როგორც წესი პოლიციის განყოფილებების ალყითა და დაკავებულის გათავისუფლებიტ სრულდებოდა[55]", აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში 90-იან წლებში ჩადენილი დანაშაულის უმეტესობა დაუსჯელი რჩებოდა. ,,სამართალდამცავი სტრუქტურები უძლური აღმოჩნდა მომძლავრებული კრიმინალური გარემოს წინააღმდეგ.... მეტიც, კორუფციაში ჩაფლული სამართალდამცავი სტრუქტურები თავად აღმოჩნდნენ კანონის მიღმა და იქცნენ

[55] https://www.youtube.com/watch?v=migSw77Finc&t=58s (ნანახია 14.06.2023)

კრიმინალის ნაწილად.[56]“ ასეთი შეფასება, ნათელს ხდის თუ როგორ ეფლობოდა ქვეყანა დღითიდღე კრიმინალში.

საინტერესოა პეტრე მამრაძის შეფასება პოლიტიკაში კრიმინალთან დაკავშირებით, „ძველბიჭურ-ქურდულ-ნარკომანული მენტალიტეტის” მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდათ ძალაუფლებაზე, ისინი იყვნენ პარლამენტის წევრები და საპარლამენტო დარბაზში მუშაობისას გადასძახებდნენ ხოლმე ერთმანეთს – „თქვენკენ ზონას ვინ აკონტროლებს?[57]”. ზონის კონტროლი ქუჩური ტერმინებიდან ერთ-ერთია, რომელიც აქტიურად ისმოდა 90-იან წლებში, ვინაიდან ამ დროს სამართალდამცავ ორგანოებს ფაქტიურად არანაირი ძალა აღარ გააჩნდათ, ქვეყანაში გამეფდა ქუჩის სამართალი, რომელმაც ნელ-ნელა პარლამენტშიც შეაღწია.

პოლიტიკური თამაშები ბინძური აღმოჩნდა, ვინაიდან ტრიუმვირატსა და შევარდნაძეს შორისაც გაჩნდა დაპირისპირება. თუმცა ჯაბა იოსელიანი საწყის ეტაპზე არ უპირისპირდებოდა შევარდნაძეს, პირიქით, იოსელიანმა და შევარდნაძემ ერთად მოიშორეს თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ედუარდ შევარდნაძე საქართველოში იოსელიანის ინიციატივით ჩამოვიდა. მაგრამ შევარდნაძისთვის საკუთარი პოზიციების გამყარება უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა, ვიდრე იოსელიანის მარიონეტად ყოფნა. იოსელიანს კი თავის მხრივ, სჭირდებოდა ისეთი ადამიანი, ვინც ხელს შეუწყობდა მის კრიმინალურ ზრახვებს. იგი ხშირად ამბობდა, რომ პროკურატურა არ იყო საჭირო და უნდა გაეუქმებინათ, ცხადია რა იყო ამის მოტივი. ჯაბა იოსელიანსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის დაძაბულობამ სერიოზული სახე მიიღო, იმდენად სერიოზული, რომ 1995 წლის აგვისტოს შევარდნაძეს ტერაქტი მოუწყვეს.

გარდა ამისა, როდესაც ქვეყანაში ქვეყანაში სხვადასხვა აპარატები ნელნელა იწყებდნენ სტაბილურობას, არ შეიძლებოდა, რომ ამ დროს სახელმწიფოსთან ერთად ეარსება იმ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ზემოქმედებდნენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე,

---

[56] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 261.

[57] https://www.youtube.com/watch?v=migSw77Finc&t=58s (ნანახია 14.06.2023)

მათ შორის კრიმინალის დონის ზრდაზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ წინააღმდეგობა გაჩნდებოდა იმ დროინდენ ,,მხედრიონსა“ და ხელისუფლებას შორის, ამ შემთხვევაში ედუარდ შევარდნაძის.

6.2 ედუარდ შევარდნაძის ტერაქტი

1995 წელს ედუარდ შევარდნაძე გახდა საქართველოს მეორე პრეზიდენტი. ამ დროისთვის შევარდნაძესა და იოსელიანს შორის დაპირისპირება უკვე დაწყებული იყო.

1995 წლის ზაფხული მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს პოლიტიკური სიმტკიცისთვის, 24 აგვისტოს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო, ამასთან დაკავშირებით 29 აგვისტოს უნდა მომხდარიყო კონსტიტუციაზე ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი, თუმცა 1995 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის წინააღმდეგ განხორციელდა ტერაქტი. ამასთან დაკავშირებით პეტრე მამრაძე საუბრობს რეზი ჭიჭინაძის გადაცემა ,,ყველა კითხვაში[58]“. იგი იხსენებს, რომ ავთო იოსელიანმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ მზადდებოდა ტერაქტი, თუმცა ზუსტი დრო და ადგილი უცნობი იყო. იმელის შენობის დატოვების და მანქანაში ჩასხდომიდან რამდენიმე წამის შემდეგ მოხდა აფეთქება. ცხადია, რომ სახელმწიფო მეთაურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, პოლიტიკურ და კრიმინალურ მოტივებს ატარებდა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კრიმინალის პოლიტიკაში არსებობას.

ედუარდ შევარდნაძემ აფეთქებიდან მალევე გააკეთა კომენტარი ,,ძალიან უნდათ აქციონ საქართველო ტერორისტულ ქვეყანად და მაფიები გაბატონდნენ ...მაფიოზები და კრიმინალები საქართველოში ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, რაც არ უნდა გააკეთონ.[59]“ ცხადია, რომ კრიმინალებში ჯაბა იოსელიანი იგულისხმა. ,,პოლიტიკური თვალსაზრისით, ედუარდ შევარდნაძემ ეს აფეთქება ბრწყინვალედ გამოიყენა იმ დროს მთავარი მოწინააღმდეგის - ,,მხედრიონის“ გასანადგურებლად.[60]“ მაშასადამე, ამ გზით

[58] https://www.youtube.com/watch?v=djIgQ3JfaPw&t=845s (ნანახია 15.06.2023)
[59] https://www.youtube.com/watch?v=49rTd2fQ7WM (ნანახია 15.06.2023)
[60] https://experti.ge/29-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95-%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%

ედუარდ შევარდნაძემ ჯაბა იოსელიანი თავიდან მოიშორა, რომელიც ხელს უშლიდა პოზიციების გამყარებაში.

ამის შემდეგ, ,,მხედრიონი“ დააშალეს და მისი ლიდერები დააპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ჯაბა იოსელიანის ინიციატივა იყო ედუარდ შევარდნაძის მოწვევა და მისი საქართველოს პოლიტიკაში მოსვლა, შემდგომში შევარდნაძისთვის ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია, იმისთვის, რომ ,,მხედრიონი“ თავიდან მოეშორებინა. 1990-იანი წლის მეორე ნახევარში მხედრიონიც და ზვიადისტებიც აქტიურად იდევნებოდნენ.

6.3 კრიმინალის დონე საქართველოში 1990იან წლებში

საქართველოში 1990-იანი წლები იქცა კრიმინალის აყვავების პერიოდად. მაშინ, როცა ქვეყანას რეალურად ,,მხედრიონი“ მართავდა, სხვადასხვა კრიმინალურმა დაჯგუფებებმაც დაიწყეს ჩამოყალიბება. ზოგადად, ქვეყანაში კრიმინალის ზრდას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დაშლამ. უამრავი ადამიანი უმუშევარი დარჩა, ამასთან კანონმაც დაკარგა ძალა. ხალხს გაუჩნდა დაუსჯელობის განცდა. იმატა ქურდობამ, ძარცვამ, ყაჩაღობამ და მკვლელობებმა. ამას თან დაერთო აფხაზეთის ომის შედეგად დევნილი მოსახლეობა. ცხადია, ამგვარი მოვლენები გაზრდიდა კრიმინალის დონეს და ასეც მოხდა. ამასთან დაკავშირებით, სტივენ ჯონსი წერს -„მხედრიონის” და სხვა გასამხედროებული ფორმირებების არსებობა, იარაღის ღიად ტარება ქუჩებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სროლა, ეკონომიკური გაჩანაგება, უეცრად თავს დამტყდარი სიღატაკე, მრავალრიცხოვანი დანაშაულები... „შოკი აღმოჩნდა ქართველების უმრავლესობისთვის[61]“.

90-იანი წლებისთვის სახასიათო გახდა ,,მხედრიონი“. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ,,მხედრიონელები“ მოქალაქეებს ქუჩაში აყაჩაღებდნენ, იტაცებდნენ ან ძარცვავდნენ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო აღმოჩნდა გოგი წერეთელის მოგონებები, რომელიც ამბობს ხშირად აჩერენდნენ შეიარაღებული ფორმირებები - ,,იმდენად უნამუსოდ იქცეოდენ, რომ მანქანიდან გადმოსვლამდე, მაშინ „მოსკვიჩი”

83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98

[61] სტივენ ჯონსი : პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ . (2013) გვ. 106.

მყავდა სამსახურის, სულ ამომიწურავდნენ საწვავს.[62]" მხედრიონელთა მიერ დაყაჩაღებას იხსენებს ერთ-ერთი ანონიმური რესპოდენტი, რომელიც ჯაბა იოსელიანის შორეული ნათესავი იყო - ,,მე და ჩემი თანამშრომელი ფულს ვახურდავებთ, უკან რომ მოვიხედე ... აღარ ჩანდა. გზაზე გავედი და უცებ სიბნელიდან გამოიქცა და მითხრა, რომ დააყაჩაღეს. მაშინვე წავედი შსს-ში მაშინ მანდ ჰქონდათ შტაბი. კბილებამდე შეიარაღებულები იყვნენ. ვეუბნები, ჯაბას ახლობელი ვარ და შემიშვითთქო. დაიწყეს გადამოწმებები, დარეკვები და დაახლოებით ნახევარ საათში შემიშვეს. ოთახში რომ შევედი დიდ მაგიდაზე უამრავი ფული და ძვირფასი ნივთები ეყარა, ... მეუბნება რამდენიც არის შენი აიღე და წადიო. ავიღე ის რაც მეკუთვნოდა და წაავედი..."

ქალაქის სხვადასხვა დაჯგუფებას შორის კონფლიქტი იყო. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, საინტერესო აღმოჩნდა, რადიო თავისუფლების სიუჟეტი ,,საძმოების ერა, ანუ უბნური ვენდატა[63]". ამგვარ დაჯგუფებეში იწერებოდნენ 16-17 წლის ახალგაზრდები, რომლებიც აფხაზეთის ომიგამოვლილ მეომრებს ბაძავდნენ. თუმცა, გიგა არველაძის სიტყვებიდან თუ ვიმსჯელებთ, ყველა ვინც აფხაზეთიდან დაბრუნდა ნარკოდამოკიდებული იყო. საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდა რამდენიმე საძმო, რომელსაც ხშირ შემთხვევაში კანონიერი ქურდი მეთაურობდა. შემდგომში ეს დაჯგუფებები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სხვადასხვა მიზეზების გამო. თავის მხრივ, ამ დაპირისპირებამაც შეუწყო კრიმინალის ზრდას ხელი. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ნანა ბაქრაძის მოგონება - ,, საშინელი ბანდიტიზმი იყო... თარეშობდნენ ეს რაღაცა დაჯგუფებები... ყოველ მეორე დღეს, მოვარდებოდა ახალგაზრდა ბიჭების ჯგუფი, ატყდებოდა სროლა, ერთს მოკლავდნენ. გავიდოდა კიდევ ცოტა ხანი, კიდევ მოცვივდებოდა ჯგუფი, კიდევ ვიღაცა ახალგაზრდას კლავდნენ...[64]"

---

[62] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 261.

[63] https://www.youtube.com/watch?v=migSw77Finc&t=58s

[64] საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ) გვერდი 268

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა კრიმინალისა და პოლიტიკის შესწავლას 1990-2000იან წლებში. კერძოდ, კვლევის პროცესში განვიხილეთ 1898 წლის 9 აპრილი, დღე რომელმაც საქართველოს მომავალი შეცვალა, ზვიად გამსახურდიას მმართველობასთან დაკავშირებული მოვლენები, რაც გულისხმობდა რეფერენდუმს და 1991 წლის 9 აპრილის. ნაშრომში მნიშვნელოვანი იყო ,,მხედრიონისა" და მისი ლიდერის ჯაბა იოსელიანის როლის შეფასება საქართველოს კრიმინალურ თუ პოლიტიკურ ისტორიაში. ასევე განვიხილეთ თბილისისა და აფხაზეთის ომები.

ჩატარებულმა კვლევამ ნაშრომში მოცემულ საკვლევ კითხვას იყო თუ არა 1990-2000 იან წლებში ქართული პოლიტიკა კრიმინალიზებული და რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი გასცა პასუხი. კვლევის პროცესში ცალსახად დადგინდა, რომ ქართული პოლიტიკა იყო კრიმინალიზებული, ვინაიდან ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ქურდულ სამყაროს მიეკუთვნებოდნენ. პოლიტიკაში კრიმინალის მაღალი დონის გამომწვევ მიზეზად შეგვიძლია პირდაპირ მივიჩნიოთ ჯაბა იოსელიანის პოლიტიკური ცხოვრება, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, შემდგომში კი ,,მხედრიონის" ლიდერი. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ პოლიტის კრიმინალიზაციამ გაზარდა კრიმინალის დონე მოსახლეობაშიც.

ნაშრომში მოცემული ჰიპოთეზა, 1990-2000 იან წლებში ქართულ პოლიტიკაში იყო ქაოსი და ამ პოლიტიკური ტრანსფორმაციის რთულ პროცესში კრიმინალი გაბატონდა დადასტურდა შემდეგი ფაქტების საფუძველზე.

თბილისის სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყნაში არსებული ქაოსი კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან გამოუცდელმა სამხედრო საბჭომ ვერ შეძლო ქვეყნის მართვა, ამიტომ მათ ქვეყანაში ჩამოიყვანეს ედუარდ შევარდნაძე. შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა ცალსახად გულისხმობდა ტრიუმვირატის ინტერესების გატარებას. კვლევის პროცესში დადგინდა, რომ კრიმინალთა პარლამენტში მოხვედრამ გამოიწვია პოლიტიკაში კრიმინალის დონის გაზრდა. ნაშრომში ასევე გამოჩნდა, თუ როგორ ებრძოდნენ კრიმინალები ეროვნულ ხელისუფლებას ზვიად გამსახურდიას სახით. მისმა პოსტიდან

ჩამოგდებამ ცალსახად გაუსვა ხაზი პოლიტიკაში კრიმინალის დასაწყისს. პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა, უდიდესი გავლენა იქონია მოსახლეობაზე.

გარდა ამისა, კრიმინალის მაღალი დონე პოლიტიკაში დაადასტურა ედუარდ შევარდნაძის მიმართ განხორციელებულმა ტერაქტმა. როდესაც, ქვეყნის მეთაურის მოშორებას დანაშაულებრივი გზით ცდილობს მისი მოწინააღმდეგე, ცალსახაა რომ ეს არის პოლიტიკური დაპირისპირების შედეგი.

კრიმინალსა და პოლიტიკას შორის კავშირი დადასტურდა გამოკითხული რესპოდენტების ინტერვიუების საფუძველზე. ირაკლი ქადაგიშვილი ამბობს, რომ ,,პოლიტიკის კრიმინალიზაცია ნიშნავდა იმას, რომ ქართულ პოლიტიკას ბევრი ლიდერი შეეწირა, ამასთან როცა შენ არაკანოიერი გზით ცდიილობ ხელისუფლების შენარჩუნებას, ესეც კრიმინალიზაციაა.[65]“

პოლიტიკაში კრიმინალის არსებობა ასევე დაადასტურა ივანე წერეთელმაც და იგი ამბობს, რომ ,,კრიმინალის დონეს აჩვენებს ის სტატისტიკა და რეალობა რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით... ეს იყო გაურკვევლობის ეპოქა, რაც მოხდა ეს არის კრიმინალური ყოფის გამძაფრება, რომელსაც თავისმხრივ ძალიან შეუწყო ხელი ჯაბა იოსელიანის როგორც ინდივიდის არსებობამ. სახელმწიფო იმართებოდა კანონგარეშე ინსტიტუტების გარეშე, ამასთან გაჩნდა შეიარაღება და ამ მოვლენებმა კიდევ უფრო გაზარდა კრიმინალის დონე მოსახლეობაშიც. რომ შევაჯამოთ, ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ 90-იანი წლები არის საქართველოს კრიმინალური ისტორია, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია პოლიტიკურ კურსზეც[66]“.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ გამოკითხული რესპოდენტებისა და გაანალიზებული ლიტერატურის საფუძველზე, დადგინდა ცალსახა კავშირი პოლიტიკასა და კრიმინალს შორის. ამიტომ საქართველოში 1990-2000იანი წლები არიც კრიმინალის აყვავების ხანა როგორც პოლიტიკაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

---

[65] სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოს ირაკლი ქადაგიშვილთან (12.06.2023)

[66] სიღრმისეული ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ივანე წერეთელთან (13.06.2023)

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე (ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, ქეთევან ეფაძე. გამომცემლობა სამშობლო 2022 წ)
- სტივენ ჯონსი : პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ . (2013)
- დიმიტრი შველიძე - პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (უნივერსალი 2008)
- რევაზ გაჩეჩილაძის წიგნი ,,ჩემი მეოცე საუკუნე" (სულაკაური 2011)
- აბდალაძე, გვანცა და სხვ. უახლესი ისტორია მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის (თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008, გვ.283
- თენგიზ კუბლაშვილი - ისტორია ,,პირუთვნელის" ხელში. 1991-1992 წლების ხელისუფლების დამხობის მიზეზების შესახებ. 2005. გვ.48
- გივი ლობჟანიძე, გიორგი ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბ. ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრი, 2004. გვ.101-102
- პეტრე მამრაძე რეზი ჭიჭინაძის გადაცემაში ,,ყველა კითხვა" - https://www.youtube.com/watch?v=djIgQ3JfaPw&t=845s
- ,,საძმოების ერა, ანუ უბნური ვანდეტა"- https://www.youtube.com/watch?v=migSw77Finc&t=58s
- დოდო გუგეშაშვილი ,,სიცრუის დეტექტორში"- https://www.youtube.com/watch?v=KOjB2Lmd4Ag
- იაგო ხვიჩიას საავტორო გადაცემა ,,საქართველოს დაბადება" –
  თენგიზ კიტოვანი - https://www.youtube.com/watch?v=VV80O53qBeo&t=182s
  გიგა არველაძე - https://www.youtube.com/watch?v=chFJuNgZpik
- ,,რუსთავი ორის" საარქივო მასალა - https://www.youtube.com/watch?v=2q4XijMMENY&t=31s
- ჯიმშერ ბედიანიშვილის საარქივო მასალა - https://www.youtube.com/watch?v=Zmvd6ZYYe8s
- თენგიზ სიგუას ულტიმატუმი - https://www.youtube.com/watch?v=0D_ZKFV3CIs
- მერაბ კოსტავა 1989წლის 9 აპრილს - https://www.youtube.com/watch?v=t3XIyV-9Tew
- ზვიად გამსახურდია აცხადებს დამოუკიდებლობას - https://www.youtube.com/watch?v=PsHAV7B3Uzg
- ედუარდ შევარდნაძის განცხადება 1992წლის 7 მარტს - https://www.youtube.com/watch?v=0D_ZKFV3CIs
- ედუარდ შევარდნაძის განცხადება ტერაქტზე - https://www.youtube.com/watch?v=49rTd2fQ7WM

- ,,გადამწვარი სოფელი“ - https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/24585797.html
- საქართველოს კონსტიტუცია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
- საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/32362?publication=0
- https://demo.ge/index.php?do=full&id=1189
- http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/uaxlesii/document/HASH01479048438fd58757be81c3;jsessionid=B06332144B99AE62D482B17B608F40E3?ed=1
- https://www.radiotavisupleba.ge/a/30338333.html
- დოდო გუგეშაშვილის ინტერვიუ ჟურნალ ,,თბილისელებთან“ - https://for.ge/index.php/view/207934/rogor-Seiqmna-mxedrioni.html
- ჯაბა იოსელიანის ინტერვიუ - https://reitingi.ambebi.ge/aqtualuri-sakhe/1511-
- ჯაბა იოსელიანის ინტერვიუ - http://kvira.ge/184434
- ედუარდ შევარდნაძის ტერაქტი - https://www.radiotavisupleba.ge/a/1530515.html
- რეხვიაშვილის სტატია 9 აპრილზე - https://www.radiotavisupleba.ge/a/31178645.html
- აფხაზეთის ომი - https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-25/29512773.html~
- https://experti.ge/29-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95-%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98
- http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=14622&lang=geo

დანართები

დანართი #1: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

1.როგორც ცნობილია, გამსახურდიას ბევრი ადამიანი უპირისპირდებოდა. რა მოხდა უშუალოდ პრეზიდენტ გამსახურდიას კიტოვანსა და სიგუას შორის? ისინი ხომ ერთ ინტერესს ატარებდნენ? რა გახდა მათი დაპირისპირების მიზეზი?

2.თბილისის ომის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

3.როგორ შეაფასებდით საბჭოს მმართველობას?

4.როგორ ფიქრობთ, რა როლი ითამაშა თენგიზ კიტოვანმა აფხაზეთის ომში?

5.საინტერესოა აფხაზეთის ომში ,,მხედრიონის“ როლი. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

6.რამ გამოიწვია დაპირისპირება შევარდნაძესა და იოსელიანს შოირს?

7.თქვენი აზრით, იქონია თუ არა ჯაბა იოსელიანის კრიმინალურმა წარსულმა გავლენა მის პოლიტიკურ კურსზე?

8.იყო თუ არა კრიმინალისებული პოლიტიკა?

დანართი #2: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

1.როგორ შეაფასებდით 1989 წლის 9 აპრილს?

2.როგორ შეაფასებდით ,,მხედრიონის'' როლს თბილისის სამოქალაქო ომში?

3.მიგაჩნიათ, რომ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში მოწვევა იყო ერთადერთი გამოსავალი?

4.როგორ შეაფასებდით შევარდნაძისა და იოსელიანის ურთიერთობას?

5.ფიქრობთ, რომ 90-იანი წლები არის საქართველოში კრიმინალის აყვავების პერიოდი?

6. ფიქრობთ, რომ 90-იანი წლების საქართველოში პოლიტიკა იყო კრიმინალიზებული?